„მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 3 (269) 27 მარტი, სამშაბათი. 2018 წელი; ფასი 1 ლ.

*ქრისტე აღსდგა! ვილოცავთ, ქრისტიანობა და ქართველობა იდენტურია,*
*საქართველოს გზაც არის გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა!*



საქართველოს საპატრიარქოს დისკრედიტაციის ახალი ტალღა აგორდა

## ვისთვის რეკს ზარი? ვინ დაუბრუნებს ერს ღირსებას?

სრულიად საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის უიმედობის გზავნილი საქართველოს -
„ხანდახან ასეთი აზრი მებადება, აღარ ეშველება ქვეყანას".
რესპუბლიკელთა განცხადებით საქართველოს საპატრიარქო მექრთამე ყანდურია

მე-2-გვ.

## ორი მტრის ხატი და ორად გაყოფილი საქართველო, არადა, საქართველო ერთია

დავსძლიოთ „ნაცების" მავნე სინდრომი- ხელისუფლების მიზანი - ხელისუფლების შენარჩუნება



მე-3-გვ.

სხვა გაზეთიდან: „საქართველოს რესპუბლიკა" (1 მარტი, 2018წ.)

## ახალი სახელწოდება საქართველოს რუკაზე?



თავისი დიდი წარსულისთვის ჩვენს საზღვაო კარიბჭეს დავუმკვიდროთ სახელი „ფოთი-ფაზისი"

მე-4-გვ.

## ფოთში წყალგამყოფი ნაგებობის რეაბილიტაცია დაიწყო

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, მოადგილესთან ირაკლი თოფურიასთან ერთად წყალგამყოფი ნაგებობა დაათვალიერა და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.




ამ ეტაპზე მიმდინარეობს კაშხლის 8 ფარის მექანიკური ნაწილების აღდგენა და განახლება, ნაგებობის სარემონტო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, ახლით შეიცვლება ამორტიზებული ელექტროტექნიკა, გარემონტდება წყალგამყოფი კაშხლის კონსტრუქცია და მისი დამხმარე ნაგებობები. პროექტი ითვალისწინებს ყველა საჭირო სამუშაოს გაწევას რათა მოსალოდნელი წყალდიდობის შემთხვევაში ნაგებობა მზად იყოს წყლის მაქსიმალური მოცულობის გასატარებლად.

სამუშაოებს კომპანია „ერისიმედი" ახორციელებს.

მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტაციისთვის 1 367 815-მდე ლარი დაიხარჯება.

## ქალაქი ყველას საზრუნავია

ქალაქფოთისმუნიციპალიტეტისსერვისების ცენტრში შემავალი დასუფთავების,გამწვანების და სხვა სამსახურების თანამშრომლებმა შავი ზღვის სანაპირო ზოლი დაასუფთავეს.



ღირსეული სიცოცხლე და მოწამეობრივი სიკვდილი სამშობლოსათვის

## არჩილ ტატუნაშვილი თანამედროვე ცოტნე დადიანი - ზნეობრივი გმირი

უიარაღო ვაჟკაცი ვერ გატეხეს მტარვალებმა და წამებით მოკლეს სამშობლოს სიყვარულის გამო. მტრებმა დაინახეს რომ შეუძლებელია ქართული სულის დამარცხება და ეს ლაჩრული საქციელიც დიდი სასჯელია მათთვის, რასაც ოდესმე მიხვდებიან.



საქართველოს ასეთი გმირები თუ გადაარჩენენ. ისინი გმირობის და ზნეობის უკვდავი მაგალითით წინ გაუძღვებიან თაობებს.

„...ვერ შეგვაჩერებს ტყვიების წვიმა
და ვერც სიკვდილი მომხვდურთა ხელით,
ვდგევართ უდრეკად ბოლო წვეთამდე
სიკვდილსაც მხოლოდ ღიმილით ველით"...

სიკვდილის წინ ეს ლექსი არჩილ ტატუნაშვილს ჯიბეში უპოვეს.

ნიკო ნიკოლაძის იუბილის შესახვედრად

## ნიკო ნიკოლაძე 175-ფოთის-პორტი 160



„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიამ ახლადარჩეულ თვითმმართველობას დიდი ნიკოლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა შეახსენა როგორ აკლია ქვეყანას ულმობელი საქმის კაცი, რომელმაც დროს საუკუნეებით გაუსწრო

„ფაზისის" აკადემიის ფოთის ორგანიზაციის სხდომაზე მოისმინეს **ვაჟა შუბითიძის** მოხსენება ნიკო ნიკოლაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომელიც წიგნად გამოიცემა.

გთავაზობთ წერილების სერიას ამ ახალი ნაშრომიდან

მე-7-გვ.

## მილოცვა ბატონ ზურაბ აბრალავას დაბადების დღესთან - 8 მარტთან დაკავშირებით



კაცი ხარ გულით ცამდე მართალი,
ძველი კოლხეთის გკვებავს მითები,
ეს საუკუნე გახდა მართვადი,
შენ ვერ გმართავენ ვერასდიდებით.



ალეკო დოლბაია
7 მარტი, 2018 წელი

გახსოვდეთ! მრავალმილიონიანი ლექსიკა - ენის დიდ წარსულზე მიანიშნებს და მისი დიალექტებად შეფასება ან უმეცრებაა ან კიდევ დაცინვა

## მძინარე არს ენა ლაზური დღესამომდე... (პასუხი მეცნიერებს)

მე-6-გვ.

ინფრასტრუქტურა ქალაქის სავიზიტო ბარათია

ბლიცინტერვიუ ა(ა)იპ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის დირექტორთან,

## ბატონ ზაზა ვადაქარიასთან



მე-2-3-6-გვ.

## გაახარე და უპატრონე

„ტყე შეუნახე შვილებსა მამა ხარ შენი ვალია"

მე-5-გვ.

# საქართველოს საპატრიარქოს დისკრედიტაციის ახალი ტალღა აგორდა

ვისთვის რეკს ზარი?

ვინ დაუბრუნებს ერს ღირსებას?

## სრულიად საქართველოს პატრიარქის, ილია II-ის უიმედობის გზავნილი საქართველოს- ,,ხანდახან ასეთი აზრი მებადება, აღარ ეშველება ქვეყანას”.

## რესპუბლიკელთა განცხადებით საქართველოს საპატრიარქო მექრთამე ყანდურია

*საუკუნის წინათ ილია ჭავჭავაძემ დაუსვა ერს ასეთი დიაგნოზი-საუკუნის მერე-მეორე ილიამ - საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა -,,ზოგჯერ ისეთი აზრი მებადება -ამ ქვეყანას არაფერი ეშველება”.*

*უღმერთო ქვეყანას მომავალი არა აქვს ,სწორედ ამ უღმერთოებმა გაყიდეს ქვეყნის მიწა-წყალი თავის საფლავებიანად,თავის წარსულითა და ტრადიციებით. ქვეყნის ყვლეფა და გამდიდრება,სხვა მიზანი ამათ არ ქონიათ. ხალხი გარბის და ტოვებს ტერიტორიებს „ნაცები” მის დაბრუნებაზე რომ იკლავენ თავს.*

*ასეთია დღევანდელი რეალობა და პატრიოტრიზმის პარადოქსები*

*კაპიტალიზმმა არ გაამართლა ბრძანა პატრიარქმა,ჩვენ კი ახლა ვიწყებთ მის შენებას,გვეშველება რამე?*

*საქართველოს ეკლესიას ბიუჯეტიდან 25 მილიონი გამოუყვეს,რაც არ ასვენებს სამშობლოს სიყვარულით გულდათუთქულ არასამთავრობოებს, სხვადასხვა პარტიებს. ამასწინათ ერთ-ერთ რეიტინგული ტელევიზიის (TV პირველი) რეიტინგულ გადაცემაში რესპუბლიკელმა ქალბატონებმა ამასთან დაკავშირებით ქართულ ეკლესიას მექრთამე ყანდური უწოდეს,რაც საკმაოდ მძიმე ბრალდებაა,ამ ოდენობის თანხით საქართველოში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაა დაფინანსებული, რომელსაც მავნებლობის მეტი არაფერი სიკეთე მოუტანია ქვეყნისთვის. რაც შეეხება ყანდურს,რამდენიმე ყანდური მართლაც არის ეკლესიაში და ეს კარგად იცის ერმა და ბერმა.*



საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II გაფრთხილება ამქვეყნიური უბედურების გარდაუვალობაზე: ,,ზოგჯერ ისეთი აზრი მებადება -ამ ქვეყანას არაფერი ეშველება”.

ღმერთმა ორი სამყარო შექმნა ზეციური და მიწიერი. მიწაზე ზეციერების მსახური ეკლესიაა, რომელიც ღვთის რწმენაზე,მიწიერ და ზეციურ ღირებულებათა თანაარსებობაზე ქადაგებს. ურწმუნო ადამიანი ვერც ამქვეყნიურ ცხოვრებაში შეძლებს რაიმე სასიკეთოს კეთებას და ამით უფრო სცილდება ღმერთს და ღვთიურ სამყაროს.

უღმერთოები არათუ ჩვენნაირ პატარა ქვეყანას, მსოფლიო გიგანტებსაც გააცამტვერებს, ღვთის განდევნა მხოლოდ უბედურების მომტანია. როგორც ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ისე ადამიანთა სამუდამო სასუფევლის მოსაპოვლებად, რამეთუ ღმერთია სამოთხის კარი, მხოლოდ ღმერთით შევალთ სამოთხეში.

ალბათ, ბოლო დროინდელმა მოვლენებმა,ადამინთა გაუცხოვებამ ღვთისა და სამშობლოს სამსახურისადმი ათქმევინა მხცოვან პატრიარქს - ამ ქვეყანას არაფერი ეშველება.

ამ ქვეყანას არ ეშველება იქნებ იმიტომ,რომ დაივიწყეს უფალი და ეშმაკი დაეპატრონა ადამიანთა გულებს, მათ გონებას და საქმეებს. იქნებ იმიტომ რომ ქვეყანა აკვარეუმს დაემგვანა:თევზებივით პირს ვერ ვაღებთ და აღარ გვესმის ერთმანეთის.

ალბათ, ქვეყანას არაფერი ეშველება ვიდრე ხელისუფლებაში იქნებიან ყვირილით, დროშის ქნევით მოსული ადამიანები,ვიდრე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში-პარლამენტში იქნებიან ბოკერია, უგულავა და ძმანნი მისნი-ამ ქვეყანას არაფერი ეშველება ვიდრე პატრიოტიზმი იქნება ვიგინდარების თავშესაფარი, ვითომ სამშობლომ სიყვარულით მოტივით ქვეყნისათვის ატეხილი ათასი უბედურება. ალბათ, იმიტომ,რომ ებრძვიან ეკლესიას,როგორც რწმენის,ღვთიურობის, ზნეობის, ოჯახური კეთილდღეობის, ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებისათვის, გაუკუღმართებული ნარკოლიბერალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის უკანასკნელ ციტადელს,რათა საზოგადოება განსაკუთრებით ახალგაზრდები დაადგნენ უზნეობის, გარყვნილების გზას და ყოველივე ღირებული დავიდეს ცხოველურ ინსტიქტამდე.

არაფერი გვეშველება ვიდრე პატრიოტიზმის ეგიდით თავს არ დაანებებენ რუსეთთან პროვოკაციებს და საბოლოოდ არ გაწირავენ პატარა ქვეყანას უკანასკნელლი დამანგრეველი ომოსთვის.

ალბათ,არაფერი გვეშველება ვიდრე არ შეფასდება 1991-1993 წლების მოვლენები, არ გასამართლდება სააკაშვილის რეჟიმი და ვიდრე არ მიხვდება ხალხი, რომ ქვეყნის დამანგრევლებს არ შეიძლება მისი გადარჩენა აინტერესებდეთ ნატოთი და დასავლეთით.

არაფერი გვეშველება ვიდრე არ გაერკვევა ხალხი-რომელი წყობა გვინდა - როგორი პრეზიდენტიგაურკვეველი ორიენტაციით თუ სახელმწიფო ფუნქციებით, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე.

ალბათ არაფერი გვეშველება ვიდრე 200 პარტია ვერ მიხვდება რომ ქვეყანა ერთია. ვიდრე ხელისუფალნი ქვეყანაზე ზრუნვის ნაცვლად უფრო საკუთარი კეთილდღეობით დაკავდებიან,ვიდრე ხალხი ევროპაში თავშესაფარის საძიებლად ირბენს.

არ გვეშველება,ვიდრე ეკლესიისგანაც მოვითხოვთ დასავლურ-ამერიკულ ორიენტაციას, ვიდრე მშველელი ერთისთვის რუსეთი იქნება, მეორესთვის-ამერიკა.

არაფერი გვეშველება, ალბათ, იმიტომ რომ დასარული არ უჩანს ამ პროცესს, ხალხის გაღარიბებას, ოჯახების ნგრევას, ლგდპს მიერ უზნეობის ცხოვრების ნორმად გადაქცევას.

ალბათ,არაფერი გვეშველება ვიდრე,ვითომ ქვეყნის გადასარჩენად ერთნი რუსეთში გარბიან, მეორენი-ამერიკაში. არაფერი გვეშველება ვიდრე ეკლესიაც ორად იქნება გაყოფილი,ქრისტე ხომ ყველაფერზე მაღლა დგას,მათ შორის დასავლურ თუ აღმოსავლურ პოლიტიკაზე.

ვიდრე ქვეყანა იქნება გათითიკაცებული, იქნება-შური, მტრობა, ქიშპი, სიძულვილი. ვიდრე აუხდენელ ოცნებად დარჩება დიდი ვაჟას ვედრება-,,ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი.”...

ზ. აბრალავა

# ქვეყანას მართლა არ ეშველება

## რამდენიმე მუნიციპალიტეტში 7 მილიონიანი ბიუჯეტიდან თურმე ზოგიერთი რაიონის საკრებულოს და გამგეობის შენახვას 5 მილიონი ხმარდება

*ერთ-ერთ სატელევიზიო იუმორისტულ გადაცემაში, ირონიულად თუ ნიშნის მოგებით გაცხადდა-რამდენიმე რაიონში (გვარს არ დავასახელებ) 7 მილიონიანი ბიუჯეტიდან, თურმე 5 მილიონი გამგეობის და საკრებულოს შენახვას ხმარდება. დარჩენილი 2 მილიონი კი მრავალათასიან მუნიციპალიტეტს.. ამაზე უარესი რა უნდა ჭირდეს ქვეყანას? ან რა არის ამაში სასაცილო და სამხიარულო თუ ქვეყნის მასშტაბით და პლუს პარლამენტში, მთავრობაში და ა. შ. ასეთი მდგომარეობაა, ამ ქვეყანას მართლაც არაფერი ეშველება...*

### ინფრასტრუქტურა ქალაქის სავიზიტო ბარათია

ბლიცინტერვიუ ა(ა)იპ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის დირექტორთან,

## ბატონ ზაზა ვადაქარიასთან



*საზღვაო ქალაქის იერსახე ერთ-ერთი მტკივნეული თემაა, იგი ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ მოხერხდა სხვადასხვა სამსახურების კოორდინაცია, რა სტრუქტურული ცვლილებებია ამ მხრივ?*

*ამ და სხვა შეკითხვებით მივმართეთ ახლად დანიშნულ ა(ა)იპ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის დირექტორს ბატონ ზაზა ვადაქარიას.*

მოგახსენებთ, რომ ა(ა)იპ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი შეიქმნა ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2017 წლის 7 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე.

*მინი დოსიე: ბატონი ზაზა ვადაქარია დაიბადა ქ. ფოთში 1965 წელს ფოთში, მან დაამთავრა ფოთის თეოფანე დავითაიას სახელობის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში, ინჟინერ - მექანიკოსის სპეციალობით. მისი სამუშაო გამოცდილება მოიცავს მრავალ წლებს და აითვლება 1997 წლიდან. ზემოაღნიშნული პერიოდიდან მას ნამუშევარი აქვს სხვადასხვა კომპანიებში სხვადასხვა პოზიციებზე.*

*დაოჯახებულია და ყავს სამი ქალიშვილი.*

*- ბატონო ზაზა, რომელ სამსახურს აერთიანებს თქვენი სერვისცენტრი? როდიდან შეუდექით მუშაობას?*

- ა (ა)იპ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი მუშაობას შეუდგა 2018 წლის 1 იანვარს.

აღნიშნული აიპ-ი აერთიანებს მომსახურეობის რამოდენიმე სფეროს, მათ შორის: ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ნაგავის გატანა, გამწვანებითი სამუშაოები, სკვერების მოვლა-პატრონობა, გარე განათების უზრუნველყოფა, შუქნიშნებისა და რადიო საათის მოვლა, უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის კონტროლი, მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილება. 2018 წლის 20 იანვრიდან გადმოებარა სანიაღვრე არხებისა და სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობის ვალდებულება, ხოლო 2018 წლის 10 თებერვალს კი საბინაო ფონდი.

ა(ა)იპ -ს შექმნის ეფექტი მდგომარეობს შემდეგში:

ჩვენ მჭიდრო კავშირი გვაქვს მოსახლეობასთან, შეიქმნა საქმის წარმოების ერთიანი სისტემა, რომელშიც სისტემატიურად ხდება დაფიქსირებული პრობლემების აღრიცხვა და მათ დროულ გადაჭრაზე მონიტორინგი. გარდა ამისა, შეიქმნა საქმიანი ეზო, რომელიც ვეცადეთ დაგვეკომპლექტებინა სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანებით, რომელიც გვაძლევს საშუალებას დროულად აღმოიფხვრას წარმოშობილი პრობლემები შერჩეული პრიორიტეტების შესაბამისად, ასევე ვცდილობთ გავაფართოვოთ და უფრო ეფექტური, მრავალფეროვანი გავხადოთ ჩვენი მუშაობა ამ კუთხით.

*- რამდენი კაცია დასაქმებული?*

დღეის მდგომარეობით ა(ა)იპ დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს: 236 ადამიანს.

*- რა სამუშაოები შესრულდა ამ ხნის მანძილზე და რაა მომავალში დაგეგმილი?*

იანვარ-თებერვალში ა(ა)იპ-ში შემავალმა სამსახურებმა განახორციელეს საკმაოდ დიდი სამუშაოები, კერძოდ:

ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავების და ნაგავის გატანის მოვლა-პატრონობის განყოფილება ყოველდღიურად ასუფთავებს 39 ქუჩას 373118 კმ² ფართით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას. (ახორციელებს 640 სანაგვე კონტეინერის მომსახურებას და 118 ქუჩაზე კარდაკარ შემოვლას სპეც.ტექნიკით).

გარდა ამისა,რამოდენიმე ქუჩაზე მოთხოვნის აუცილებლობიდან გამომდინარე დაემატა 15 ერთეული სანაგვე კონტეინერი. რამდენიმე შეკეთდა და კვლავ თავისავე ადგილზე იქნა დაბრუნებული. წარმოებდა სანაგვე კონტეინერების პერიოდული გარეცხვა.

დასუფთავდა ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე 9 სართულიანი ბინების (№148,150,152,154,156,158) ეზოები, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია, სოხუმისა და პაიჭაძის ქუჩებიდან განხორციელდა სამშენებლო ნანგრევების გატანა, ხოლო კლდიაშვილის და პაიჭაძის ქუჩების კვეთის ადგილიდან - დამტვრეული ფილე-

გაგრძელება მე-3-გვ-ზე

# ორი მტრის ხატი და ორად გაყოფილი საქართველო, არადა, საქართველო ერთია

## დავსძლიოთ ,,ნაცების" მავნე სინდრომი - ხელისუფლების მიზანი - ხელისუფლების შენარჩუნება



დემოკრატია ამომრჩევლის მთავარი პოსტულატია, როგორც მისი ნების აღსრულება, თუმცა, ეს ზიგჯერ იმდენად სავალალოა, რამდენადაც ხელისუფლების სინდრომი დაუძლეველია და სწორ არჩევანს ვერ აკეთებ: დიდი შეუსაბამობაა ადამიანთა ჯგუფს მისცე ყველაფერი- დიდი ძალაუფლება სახხელმწიფოში, რამდენადაც ძალა უფლებაა და უფლება ძალაა, რომელიც შეიძლება ხალხს, თითოეულ ამომრჩეველს ცუდად მოუბრუნდეს. არის ერთმანეთზე მიბმული პროცესები - ღია და ფარული და ვიღებთ არა ხალხის ნების გამომხატველ და ხალხზე მზრუნველ ხელისუფლებას, არამედ - პარტიელების კონგლომერატს, რომელთაც მხოლოდ თავისი ინტერესების გადაკვეთის წერტილები აერთიანებთ. ანუ იმაში არიან ერთსულოვანნი დაეპატრონონ ქვეყნის ქონებას, გაალატაკონ ხალხი, და უფრო იოლად მართონ იგი. გამოდის ჩვენ თითქოს არჩევნების ატრიბუტები ვართ-ძალაუფლების წყარო, რომლებსაც ვიღაცეები ხარბად ეწაფებიან, მაგრამ მისკენ მოხედვაც არ უნდათ.

სამი ათეული წელია საარჩევნო ჯოჯოხეთად იქცა ბრძოლა ძალაუფლებისათვის, სკამისთვის, მერე ყველა პარტია შეეზრდება სახელმწიფოს, მის ხელშია ძალაუფლება, ყველა რესურსი: ეკონომიკა, ბიზნესი, პოლიცია, სასამართლო, პტოკურატურა და ა. შ. რომელსაც ისევ ხელისუფლებაში მოსვლისთვის იყენებს და ასე გრძელდება დაუსრულებლივ, რაც ყველაზე უკეთ სააკაშვილის რეჟიმს გამოუვიდა. მათ კიდევ მრავალ წელს ეყოფათ ხალხისთვის წართმეული თანხები ხელისუფლებაში ადგილების შესანარჩუნებლად. ამომრჩევლის მიზანი მათი სამუდამო ჩამოშორება იყო, მაგრამ ,,ოცნებამ" ამას კოჰაბიტაცია არჩია, ან ურჩიეს, მაგრამ დაავიწყდა: ,,არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა". ამერიკლები ვერ ეგუებიან, რომ მისი მხარდაჭერილი პარტია ვერ იგუა ქართველმა ხალხმა. ევროპის სიყვარულით, ნატოს და აშშ-ს ორიენტაციით არც ,,ოცნებას" ეთქმის საყვედური. ალბათ, ნატოშიც მიგვიღებენ ერთ დროს, თუ მანამდე არ დაიშალა. ევროპამაც ხომ გაგვიღო კარი, მაგრამ მშიერ კაცს რა ევროპელება, რა ემოგზაურება - ქურდობს და თაღლითობს, როგორმე აქ დარჩენილი ოჯახი არჩინოს, მაგრამ იმას არავინ ამბობს ვინ აიძულა, ვინ ჩააგდო ამ დღეში. ისე გავაცანით თავი ევროპას, ჯობდა არ გავეცანით... ,,ნაცები" დღესაც აგრძელებენ ნგრევას... იგონებენ მტრის ხატებს, როცა თავად მტრობენ ქვეყანას. ნატოც კარგია და ევროპაც, მაგრამ საკუთარ სახლში უნდა იყო ძლილერი ეკონომიკით, რწმენით, იდეოლოგიით, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხელისუფლებით. წინა რეჟიმის უბედურების შედეგებს კიდევ კარგახანს მოვიმკით. თუ კიდევ ძალად არ ატეხეს ომი რუსეთთან.

ერთი ამბავია ატეხილი ლიბერალურ ღირებულებებზე, ერთსქესიანთა ქორწინებაზე, უმცირესობათა ინტერესების დაცვაზე, ტოლერანტობაზე, ქალთა თავისუფლებაზე, ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე, არადა, ეს პრობლემები იქაც, ევროპაშიც არაა მოგვარებული ბოლომდე და რომ იტყვიან ასე აჟიტირებული და გახმაურებული. ამ დროს, თურმე, საქართველოში ამისთვის სცალიათ გამათხოვრებულ ადამიანებს, ოჯახები რომ ენგრევათ და შიმშილს რომ გაურბიან. ხომ არის ეს შეუსაბამობა ცხოვრების რეალობასა და ძალად შექმნილ პრობლემებს შორის.

როცა არჩევნების და პარტიების გზას გადახედავ, მიხვდები, რომ სხვაობა მხოლოდ სახელებშია. მეთოდებიც და მიზანიც ერთია, მოვიდნენ ხელისუფლებაში, მოაგვარონ პირადი საქმეები დიდი პერსპექტივით, ოპოზიციაც ერთ თარგზეა გამოჭრილი, ოღონდ ფული გამოსძალონ სახელმწიფოს, სამწუხაროდ, დღეს არაა რამე მექანიზმი მათი მოღვაწეობის შეფასებისა და შეჩერების და ვიდრე ასე იქნება პარტიები ბოლომდე ეცდებიან სახელმწიფო რესურსების გამოყენებას. ყოველი ახალი ხელისუფლების მოსვლის საბაბი წინახელისუფლების წარუმატებლობაა, ხალხის გაჭირვებაა, პარადოქსია, ოღონდ წავიდეს ის ხელისუფალი, არავინ ფიქრობს ვინ მოდის - უკეთესი თუ უარესი, როგორც იტყვიან ესაა უბედურების ბედნიერება. ,,ოცნებამ" ეს უნდა გათვალოს, რომ ისიც არ მოხვდეს ამ არეალში, რა საჭიროა 200 პარტია, ქვეყანა ხომ ერთია, იქნებ ჭკვიანებს მოვუყაროთ თავი ყველა პარტიიდან.

დემოკრატია არ ყოფილა პანაცეა, გამოდის ყველა ამ პროცესში დამნაშავე ამომრჩეველია, როგორ ვაგებინოთ პასუხი, როგორ ამოვიცნოთ, ყველა აშკარად არ გამოხატავს სიმპატიებს დამნაშავე რეჟიმისადმი, რომელიც დღეს ისევ ხელისუფლებაშია და ისევ სააკაშვილის მოსვლით იქადნება, ის კი მოიცილეს უკრაინელებმა და თავისუფლად დაფრინავს ევროპის ქალაქებში, მაგრამ საიდან ამდენი თანხები, ამ მართლაც მოუცილებელ პოლიტაგენტს - პოლიტიკოსს თვითრეკლამით. ეს დიდი დემოკრატი რატომ არ ცემს პატივს პატარა ქვეყნის არჩევანს, რომ არ აირჩია მისი პარტია. საერთაშორისო სამართლისაც გამკვირვებია, ნუთუ ასე ეპატარავებათ საქართველო და არად აგდებენ მის მოთხოვნას ქვეყნის დამაქცევარი სააკაშვილის გადმოცემის გამო, არადა, მილოშევიჩს გასამართლებამდე გაუხეთქეს გული, ესაა მსოფლიო დემოკრატიის მონაპოვარი? უარესი გვეკუთვნის ასეთი კაცის არჩევისათვის, და თუ ვინმეს დაავიწყდა რა უყო ქვეყანას - მხოლოდ 7 ნოემბრის, 26 მაისის და რუსეთთან პროვოკაციული ომის გახსენებაც კმარა. თუმცა, ის კვლავ ხალხის სიყვარულზე ლაპარაკობს, მისი გაჭირვებით მანიპულირებს და მტრის ხატის მოვალეობას ასრულებს.

მეორე მხარე ,,ნაცებისა" და მათი ლიბერალი მხარდამჭერების, მტრის ხატად ბიძინა ივანიშვილის წარმოჩენას ცდილობს, ამ პიროვნებას პოლიტიკური მოღვაწეობის გამოცდილება არა აქვს, ბევრი შეცდომა დაუშვა, თუმცა, ბევრი რამ გააკეთა ქვეყნისთვის, რომ არაფერი ვთქვათ სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებაზე. მან ბევრი კაპიტალი გაიღო ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად, მაგრამ უაზრო კინკლაობა არ მთავრდება, პარტიები ერთმანეთს ებრძვიან და ქვეყანა ლამის ხელში ჩაგვაკვდეს. და ასე იქნება ვიდრე ერთი მიზანი არ გაგვაერთიანებს -ქვეყნის აღმავლობა! უნდა დამთავრდეს რევოლუციური აღტყინება და საქართველომ ევოლუციის გზით უნდა იაროს, არ შეიძლება სახელმწიფო ერთ კაცზე იყოს დამოკიდებული, ორივე წააგებს, უნდა დაიწყოს გარდატეხა ამ მიმართულებით, ან ოფიციალურად უნდა დაუბრუნდეს ივანიშვილი პოლიტიკას და დამთავრეს მითქმა-მოთქმა საქართველოს არაფორმალურ მმართველობაზე ან რეალურად გადავიდეს სამოქალაქო სექტორში და ხელი შეუწყოს ნამდვილ დემოკრატიას. საქართველოში ყოველთვის მოიძებნება ეროვნული მრწამსის, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები, რომელთაც საერთო მხარდაჭერა სჭირდებათ, და ეს უნდა გამოჩნდეს კარსმომდგარი საპრეზიდენტო არჩევნების დროს თუმცა, პარადოქსია - საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს საერთო წესით ირჩევენ, ამასთან, უფლებები შეზღუდული აქვს, კიდევ ბევრი ნონსენსია პოლიტიკაში, რაც ხელს უშლის ქვეყნის წინსვლას.

უბედურება ისაა, რომ საქართველოში სამართლებვრივი გარემო ვერ ჩამოყალიბდა, სამართლიანი პროკურატურა, სასამართლო, პოლიცია, უშიშროება, ესენი უნდა იყოს რეალურად დამოუკიდებელი, მარტივი ენით რომ ვთქვათ, სამართლიანი და ხალხის მხარდამჭერი და არა ხელისუფლების მსახური, მით უფრო სააკაშვილისნაირი ხელისუფლების, რომელიც როგორც ,,მარადი პოლიტიკოსი" დღემდე ვერ დაიჭირეს და სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობით ერთობა. ასეა, როცა, ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი.

საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების არანაკლებ უბედურებაა გლობალიზაციის ლიბერალისტურ ტალღის მოქცევა, ისედაც გადაშენების პირას მყოფ ერს წალეკავს არასამთავრობო ორგანიზაციები, ადამიანის უფლებადამცველები, ვითომ მწერლები და პოეტები, რომლებიც სპობენ ყოველგვარ ეროვნულს, რწმენას, კულტურას, მორალს და სამართალს. ყველაფერს რასაც სახელმწიფო საფუძველი ქვია და ძალაუნებურად სააკაშვილის გვერდით დგანან და მის გზას აგრძელებენ უფრო ,,დემოკრატიული" მეთოდებით. აი, რა არის ქვეყნისთვის საშიშროება, რას უნდა მივადევნოთ თვალყური, დიდია ამ მხრივ მედიის პასუხისმგებლობაც, მთავრობის უსაფუძვლო კრიტიკა საქმეს ვნებს და რეჟიმის მხარდაჭერისათვის ერთ დღეს პასუხი მოეთხოვება მავანს.

როცა ადამიანებს არ უყვართ ერთმანეთი, ღმერთიც აღარაა მათთან, უღმერთო, უსიყვარულო ცხოვრება მარტოობისათვისაა განწირული. სანამდე შური, მტრობა დაუნდობლობა და ორად გაყოფილი ქვეყანა, ის ხომ ერთია თავისი სატკივარ-საწუხარით. ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი.

ჩვენმა ეკლესიამ დიდებულად აღნიშნა მიტევების დღე, ამასაც დიდი კაცობა და სიყვარული სჭირდება. აი, მაშინ კი ნამდვილად დავადგებით ტაძრისკენ მიმავალ გზას....

მანამ კი დასაფიქრებელია საქართველოს პატრიარქის ილია II უიმედო გზავნილი-,,არაფერი ეშველება ქვეყანას"...

ზ. ნარაძე

---

## ინფრასტრუქტურა ქალაქის სავიზიტო ბარათია

### ბლიცინტერვიუ ა(ა)იპ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის დირექტორთან,

# ბატონ ზაზა ვადაქარიასთან

დასაწყისი მე-2 გვ-ზე

ბი.

დასუფთავდა და გატანილ იქნა ნაგავი - კუნძულის უბანში ზღვის სანაპირო ზოლიდან. ასევე დასუფთავდა ქაფშიის ნავმისადგომი და მე-7 კმ-ზე -ხიდიდან ნიკორამდე გზა, ფაზისის ქუჩაზე სამკერვალო ფაბრიკის მიმდებარეტერიტორია, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია, კოსტავას ქუჩიდან 8 მარტის ქუჩის კვეთამდე ტერიტორია, მე-7 კმ-ის და ლარნაკას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია, პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორია, გეზისკენ მიმავალი გზის მიმდებარე ტერიტორია, ნაბადაში რკინიგზის ბაქანთან მიმდებარე ტერიტორია, ნინოშვილისა და ჭონქაძის ქუჩების კვეთასთან მდებარე სკვერის ტერიტორია.

*სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობა- ის განყოფილებამ შეასრულა შემდეგი სამუსაოები:*

კერძოდ, სატუმბო სადგურები წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ყოველდღიურად აწარმოებდნენ მორიგეობას თავიანთი უფლება-მოვალეობებისფარგლებში, ხორციელდებოდა სატუმბო აგრეგატების, საკონტროლო მზომი სასიგნალო მოწყობილობების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, მართვის ფარების და გამშვები აპარატურების მუშაობაზე მუდმივი მეთვალყურეობა ექსპლუატაციის დადგენილი ნორმებით.

9 აპრილის ხეივანზე მდებარე სატუმბო სადგურში მოხდა ზღვასთან დამაკავშირებელი სანიაღვრე არხის ამოწმენდა, რომელიც მოსილული იყო ძლიერი ღელვის შედეგად.

ბესიკის ქუჩაზე მდებარე სატუმბო სადგურში მოხდა შემწოვი მილის დემონტაჟი, მოხდა მასზე მიმაგრებული წყლის სარქველის სხვადასხვა ნარჩენებისგან გაწმენდა და ახალი ელექტროძრავის მონტაჟი.

ვეკუას ქუჩაზე მდებარე სატუმბო სადგურში აგრეგატზე შეიცვალა ჩობალი, დამონტაჟდა 3/4-იანი ონკანი და შეკეთდა მარეგულირებელი ღერძი, რემონტი ჩაუტარდა მართვის ფარის მექანიკურ ტალს, ტრაქტორის საშუალებით ამოიწმინდა ზღვის ღელვის შედეგად მოსილული მარცხენა არხი.

კოსტავას ქუჩაზე არსებულ სატუმბო სადგურში შეკეთდა შესასვლელი კარის საკეტი, ტრანსფორმატორის ოთახის კარი, ასევე ავანკამერასთან, საიდანაც ხდება მდ. რიონის წყლის შემოდინება რომელიც პრობლემას უქმნის სატუმბოს მუშაობას, ტრაქტორის დახმარებით მოეწყო მიწის ჯებირი.

მშვიდობის ქუჩაზე არსებულ სატუმბო სადგურში შეკეთდა მექანიკური ტალი კრატასიუკის ქუჩაზე არსებულ სატუმბო სადგურში გამოიცვალა მესამე ტუმბოზე დენის ტრანსფორმატორი და დამწვარი სალტე, ძალოვანი ამომრთველის მხარეს შეკეთდა ძალოვანი სადენი, სამორიგეო ოთახში დამონტაჟდა ამომრთველი ერთპოლუსა ელ. ღუმელისთვის, აღრიცხვის კვანძში მოხდა დაზიანებული დენის ტრანსფორმატორის შეცვლა

*სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა-ის განყოფილება* ყოველდღიურად ახორციელებს სანიაღვრე არხების გაწმენდას და ამონაწმენდი ნარჩენების გატანას.

სამუშაოები შესრულდა შემდეგ ქუჩებზე - დანელიას, რეკვავას, ჩხეიძის, გორგასალის, გაბუნიას, ლიეპაიას, გამსახურდიას, ლომოურის გორკის, ნინოშვილის, ზამბახიძის და შემდეგ მონაკვეთებზე -რეკვავას და 9 აპრილის ქუჩებს შორის მდებარე მონაკვეთი, ვაჟა-ფშაველას (ვატაევის ქუჩიდან ილიას ქუჩის კვეთამდე), თამარმეფის (აღმაშენებლისა და 9 აპრილის ქუჩებს შორის), მიქაბერიძის (აღმაშენებლისა და 9 აპრილის ქუჩებს შორის), ილიას (აღმაშენებლისა და 9 აპრილის ქუჩებს შორის), აკაკის (რკალიდან ნინოშვილის ქუჩის კვეთამდე)

სულ იანვრის თვეში გაიწმინდა 7678 კმ და თებერვლის თვეში 10577 გრძივი მეტრი სანიაღვრე არხები, ჯამურად კი -18255გრძ.მ

კლდიაშვილის ქუჩაზე მოხდა ბეტონის ფილის დემონტაჟ-მონტაჟი. სამუშაოები შესრულდა უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ხარისხიანად. ამონაწმენდი გატანილ იქნა ნაგავსაყრელზე

*უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილება*

აღნიშნული განყოფილების თანამშრომლების მიერ მ/წლის იანვარ-თებერვალში გამოვლენილ იქნა უმეთვალყურეოდ დარჩენილი, ქალაქის სხვადასხვა უბანში მოხეტიალე ცხოველების 46 შემთხვევა. განხორციელდა აღნიშნული ცხოველების იზოლაცია და გადაყვანა სპეციალურ სადგომებში. ცხოველების მეპატრონეებთან გაფორმებულ იქნა გაფრთხილების აქტები. მიმდინარეობს სამართალ დარღვევის ოქმის ნიმუშის რეგისტრაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, რომლის დასრულების შემდეგ მეპატრონეებზე გავრცელდება საჯარიმო სანქციები.

*დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილება*

გაგრძელება მე-6-გვ-ზე

**ახალი სახელწოდება საქართველოს რუკაზე?** *სხვა გაზეთიდან: „საქართველოს რესპუბლიკა" (1 მარტი,2018წ.)*

# თავისი დიდი წარსულისთვის ჩვენს საზღვაო კარიბჭეს დავუმკვიდროთ სახელი „ფოთი-ფაზისი"

ღია წერილი

*saqarTvelos prezidents,*
*baton giorgi margvelaSvils,*
*saqarTvelos premier-ministrs,*
*baton giorgi kvirikaSvils,*
*saqarTvelos parlamentis Tav-mjdomares,*
*baton irakli kobaxiZes,*
*saqarTvelos mecnierebaTa erovnuli akademiis prezidents, baton giorgi kvesitaZes*

erTi xania saqarTvelos mTav-robisa da sxvadasxva organizaciebis saxelze gamudmebiT igzavneba q. foTis municipalitetis sazogadoebrivi saTaTbiros da saqarTvelos fazisis saero-samecniero akademiis werilebi, romlebic moiTxoven q. foTisTvis istoriuli saxelis _ `fazisis~ dabrunebas, da amiT pativis migebas Zvel kolxur, e. i. qarTul da ZvelberZnul civilizaciaTa urTierTobis istoriisaTvis.

qalaqi foTi Cveni qveynis mniSvnelovani kulturuli da ekonomikuri centri, amave dros erT-erTi uZvelesi navsadguria Sav zRvaze. istoriuli geografiis gamoCenili specialistis, akademi¬kos daviT musxeliSvilis damowmebiT Zvelma berZenma kolonizatorebma Zv. w.aR. VII-VI saukuneebSi iq emporioni, anu savaWro faqtoria daaarses, romelsac fasisi-fazisi ewodeboda. es ukanaskneli zogierTi antikuri wyaros mixedviT Zveli kolxeTis samefos dedaqalaqadac ki iTvleboda, sadac Zvel¬berZnuli Tqmulebis mixedviT, argonavtebma ilaSqres oqros sawmisis mosapoveblad.

rogorc Cans, `fazisis~ aseTma popularulobam ganapi¬roba Cveni sazogadoebis garkveuli nawilis survili, rom foTs gadaerqvas saxeli da ewodos fazisi.

am ganzraxvasTan dakavSirebiT batoni d. musxeliSvili ganmartavs, rom saxeli foTi ar aris axali saxelwodeba, Zvel¬qarTul wyaroSi, igi XI saukuneSi ixsenieba, xolo Zvel¬somxurSi, msgavsi formiT `foiT~ _ VIII saukunis dasawyisisTvisaa da¬mowmebuli, rac gulisxmobs, rom es qarTuli toponimi gacilebiT ufro Zvelia, marTlac, mecnierebi _ lingvistebi, istorikosebi (maT Soris ucxoelebic) sabuTierad fiqroben, rom `foTi~ aucileblad adgilobrivi saxelwodebaa, romlis prototipi ukve arsebobda qarTul-zanuri (megrul-Wanuri) enobrivi erTobis dros, anu ramdenime aTaswleulis winaT, xolo saerTo qarTuli eTnosidan megrul-Wanuris gamoyofis Semdeg, anu Zv. w. aR. II aTas¬wleulis da¬sawyisSi, ukve unda ar¬sebuliyo dRevandeli formiT `foTi~, rac Seexeba berZnul `fasis-faziss~, igi gacilebiT ufro axalia: Zv. w. aR. VII-VI saukuneebSi mosul berZen kolonizatorebs es termini, rogorc fiqroben, unda mieRoT `foTis~ aRmniSvneli savaraudo Zveli svanuri saxelwodebidan.

batoni daviTi daaskvnis, rom `foTi~ adgilobrivi ZvelisZveli toponimia, xolo `fasisi-fazisi~ _ ucxo, berZnuli. swored amitomaa, rom konstantinopolis 553 wlis V msof¬lio saeklesio krebis monawile episkoposTa siis qarTul TargmanSi moxseniebuli fazi¬sis mRvdelmTavris wodebuleba _ `episkopozi fasoisa sofelsa Sina megrelTasa~, Sua saukuneebis sqoliastis mier iqvea ganmartebuli: `foTsa ityuis~, anu fazisi (`fasoi~) igive foTiao.

dasasrul akademikosi d. musxeliSvili uyoymanod acxadebs, qalaq foTis saxelwodebis fazisad Secvla Zveli qarTuli kvalis waSlas da ucxouris damkvidrebas niSnavso.



aseT¬makategoriulma damokidebulebam am sakiTxisadmi garkveulwilad Secvala, ufro sworad axali mimarTuleba misca `faziselTa~ mizandasaxulobas, rac kargad gamokveTa saqarTvelos fazisis saero-samecni¬ero akademiis prezidentma, ekonomikis doqtorma nugzar nadaraiam:

_ pativimivagoT Zvel kolxur, e. i. qarTul da ZvelberZnul civilizaciaTa urTierTobis istorias da qalaq foTs vuwodoT srul¬qmnili istoriuli saxeli `foTi-fazisi~.

istoriuli fazisis ritorikuli skolis (centris) memkvidre fazisis saero-samecniero akademiis aTasobiT wevris saxeliT igi gulwrfel madlobas uxdis saqarTvelos mecnierebaTa erovnul akademias, piradad akademikos daviT musxeliSvils gamoCenili yuradRebisa da Zvirfasi istoriuli ganmartebisTvis da aucileblad Tvlis am ganmartebis Sesabamisad Zvel¬kolxuri e. i. qarTuli da ZvelberZnuli civilizaciebis istoriuli urTierTobis pativsacemad amieridan qalaq foTs ewodos ara `fazisi~, ara¬med `foTi-fazisi~.

batoni nugzar nadaraia iSveliebs cnobili berZeni istorikosis strabinis (I saukune) wigns `geografias~ da ganmartavs, rom fazisi didi savaWro qalaqi iyo, aq Tavdeboda saerTaSoriso savaWro-satransporto gza, romelic modioda indoeTidan, CineTidan da romelsac kaspiis zRviT, albaneTiT da mtkvriT, Sorapanze gavliT, Savi zRvis sanapiroebisken mihqonda saqoneli. cnobilia, rom mdinare fazisi (rioni) Sorapnamde sanaosnod gamosadegi iyo da misi meSveobiT xorcieldeboda satranzito saqonlisga¬da¬zidva.

n. nadaraia ar iziarebs mosazrebas am rolis fazisis nacvlad mdinare WoroxisTvis dakisrebis Taobaze, misi Cqari dinebisa da mTebidan qva-RorRis Sav zRvaze Camdi¬narebis mizeziT.

yovelive zemoTqmulidan gamomdinare, fazisis akademiis samecniero sabWo qveynis xelisuflebisa da adgilobrivi saqalaqo-raionuli TviT¬mmarTvelobis sadireqtivo organoebis, saqarTvelos sapatriarqos wminda sinodis winaSe ayenebs sakiTxs, q. foTs mieces saxelwodeba `foTi-fazisi~, xolo foTisa da xobis eparqia iwodebodes fazisis samitropolitod (epar¬qiad).

*cnobisTvis:* mTeli am wamowyebis `amZravi Rvedia~ warCinebuli da aRiarebuli sazogado moRvawe, fazisis saero-samecniero akademiis prezidenti, saqarTvelos WyondidelcotneidelTa sazogadoebis Tavmjdomare, ekonomikis mecnierebaTa doqtori, batoni nugzar nadaraia. mas kargad icnobs sazogadoebrioba, magram misi biografiis zogad monacemebs mainc SevaxsenebT mkiTxvels. daibada 1945 wels cnobili saxelmwifo da sazogado moRvawis, mecnieris oTar nadaraiasa da saxalxo eqimis, kolxeTSi malariis winaaRmdeg brZolis saxelmwifo programis




aqtiuri monawilis rusudan gvelesianis ojaxSi. me¬uRle manana qoriZe, medicinis mecnierebaTa doqtori, kote CaCavas saxelobis klinikis profesoria, vaJi oTari ekonomikis mecnierebaTa doqtori, msoflio bankisa da savaluto fondis eqspert-konsultantia, rZali naTia gigau¬ri _ aRmaSeneblis saxelobis universitetis doqtoranti. batoni nugzari wlebis manZilze muSaobda xelmZRvanel sameurneo samuSaoebze, Semdeg _ saq. kompartiis ck-Si instruqtorad, inspeqtorad, TerTmeti weli _ xobis raikomis pirvel mdivnad, aWaris saqalaqo komitetis meore mdivnad. iyo saqarTvelos ssr umaRlesi sabWos IX, X da XI mowvevis deputati, saqarTvelos parlamentis wevri _ maJoritari xobidan, saqarTvelos parlamentSi fraqcia `neitralebis~ da politi¬kuri kavSiris `Tanadgomis~ Semqmneli da Tavmjdomare, foTis meri,saqarTvelos prezidentis saxelmwifo rwmunebuli foTSi, saqarTvelos ekonomikis ministris moadgile. fazisis akademiis Tavmjdomarea 2012 wlidan...

`fazisisTvis brZola~ 2016 wlidan daiwyo,roca q. foTis municipalitetis sazogadoebrivi saTaTbiros pirveli werili-Txovna gaegzavna saqarTvelos mTavrobas; fazisis akademiis werilebi gamoqveynda respublikur presaSi; foTis municipalitetis sazogadoebrivi saTaTbiros iniciativiT 2017 wlis ivnisSi Catarda mosaxleobis sociologiuri kvleva, romelmac cxad¬yo, rom sazogadoebis didi nawili (1285 kaci gamokiTxuli 1736 kacidan) iwonebda q. foTisTvis fazisis saxelis mikuTvnebas. dRes sazo¬gadoeba koreqtirebas ukeTebs maSindeli gamokiTxvis mizans da moiTxovs qalaq foTisTvis `foTi-fazisis~ darqmevas.

fazisis akademiis mravalaTasiani Semadgenloba, foTis sazogadoebrioba dabejiTebiT sTxoven saqarTvelos xelisuflebas, saqarTvelos mecnierebaTa akademias, gaiTvaliswinon xalxis es survili da saqarTvelos rukaze daamkvidron axali saxeli _ foTi-fazisi.

სანდრო ალექსიძე

ბადრი ლომაია

# გულის ტკივილი

**გადმონაქუხი წარსულიდან, აწყმოთი და საეჭვო მომავლით!**
**აიეტიდან მოაქჟამამდე!**
**ბატონ ნუგზარ ნადარაიას!**

განადგომი ავისმდომი,
საქართველოს მუდამ ჰყავდა,
არ მდომია მათთან ომი,
ვინც მიყვარდა, გულს მიკლავდა.
არცერთ სიქცას აღარა ვცნობ,
საქართველოს ხიბლის გარდა,
ამ დიდ მცნებას ვეღარ დავთმობ,
სიცოცხლის და სისხლის ფასად!
გვარმოცვლილი, გულმოცლილი
აღარ აკლდა საქართველოს,
სამშობლოდან გაცყორცნილი,
ვინც სულდგმულობს, შემოგვევლოს.
არაფერი მე არ მქონდა
სუსხისა და სუნთქვის გარდა,
რაც რომ მქონდა, ზღვად გაჰქონდათ,
უფალი კი აღარ ჩანდა.
ანცქრისცე ქრისცეს ჰგავდა,
ანგელოზნი კრთოდნენ სადღაც,
აწყდებოდა ჯვარცმულს მანდა,
პილაცე კი ხელს იმანდა.
აიეცის ჯიშის მოდგმას,
ქუჯის, ცოცნეს ნასისხლარის,
დიდ გუმაზის სულის მორგვას,
ვისთვის დარი საფიცარის!
ელინემმა გადამმარცვეს,
სისხლში ვეღარ გაგიფონე,
მე ხვიჩასთან ჯვარს გამაკრეს,
მაინც ვეღარ დამიმონეს!
მამელუქად გადამყიდეს
მე, ხვიჩასთან ჭირთამთმენი,
ვაი, ნანა, იქ ვადიდეთ,
იქაც ჰქუხდა სისხლი ჩვენი!
აკვნით სადღაც მიმაგდებდა
დია, ნანა, შუმით ხელში,
ელდად მნელეთს მიაროვევდა,
ეშმას სჯობდა სიმარდეში!
თემურ ლენგსაც მან გამოსჭრა,
ყელი ხელით ძალუმ ძალით!
დაჰკიოდა ნაჭაობარს
ამორძალი კოლხი ქალი!
მე ვუხმობდი საქართველოს,
მაშინ როცა ჯვარს ვეკიდე,
ვინც სამშობლო ასახელოს,
გადავყვები კიდით კიდე!
ჭყონდიდელმა მიხმო გვერდით,
წმინდა გიორგს თვალი ვკიდე,
ათამაგსა ვლეწე მკერდით,
მანდიკურად გარდავკიდე!
იმ ორასში მე ვიყავი,
ჭყონდიდელმა გამამწესა,
იქაც მეცვა ვეფხის ცყავი,
რუსთაველმა რომ თქვა ლექსად.
მაშ, რად დასცდა მონღოლ ურჩხულს,
ის სიცყვები ასე ზენა,
რაღად დასდევ დაღლილ მის სულს?!
მას უფალმა გზა უჩვენა.
ვაქკაცობა მითქვამს მეგრის,
გზად მიყვება ქართველები,
მონღოლების კიდევ მესმის,
ჩამკეცავი სპარსელები!
ლოცვით, მრძოლით გადავქელე
გზა ცაბრისკენ ხმალშიშველი,
ღვთითკურთხეულ მთებს და ველებს
ისევ ღმერთი თუ უშველის.
მძიმე ჯვარი მძიმედ ვზიდე,
მე აბჯარი არ მეკეთა,
ხმალი უმალ გადავკიდე,
გზად ყიჩაღი შემეფეთა.
სული მთხოვა, ვეღარ მივეც,
ჰოუ, ნანა შეწირული,
ხმალს ვუყივლეთ, არ ვაციეთ,
სისხლში ვთვლემდით განგმირული!
მოღალაცე, სულით ლაყე,
ვერაფერსაც ვეღარ მიზამს,
თუ ქართველი გაილაღებს,
არ ასცდება ცყვია მიზანს!
ვეღარ მომკლეს, თუმც დამკოდეს,
ზედ დამკიდეს ხმალი თავზე,
ძეგლს დავუდგამ ვეფხს და მოყმეს,
ქველ თამარის სილამაზეს,
ძეგლს დავუდგამ ყველა ქართველს,
ვისაც საქართველო სცკივა,
ძეგლს დავუდგამ წერცილს, ნათელს,
არა მას, ვინც მესვრის ცყვიას,
ძეგლს დავუდგამ იმ დიდ სპასპეცს,
ვინაც შეკრა ერი, მერი,
დიად მეფეს, სულით ნათელს,
მახვილს, მრავალქამიერი!
ათას შლეგებს, გადამშენებს,
მე ვაძგერე გულს ლახვარი,
ვინ რად უხმობს ამაოდ დღეს,
ვისთვის დარი ცოცხალ–მკვდარის.
„მეგრელთ საქმე" ვინაც შეთხზა,
სიკვდილს უხმო ჩემი ხელით,
ესე საქმე წყდება ღმერთთან,
რაც მივიღე სასურველი.
როდის ვიყავ მოღალაცე,
ფაშისცებს რომ ვაკვდებოდი?!
შენ მიჯღარკე, შენ მოჯღარკე,
მით დაგედო ცოდვის ლოდი.
რაიხსცაგზე მე აღვმართე
დროშა ცყვიით დაფერფლილი,
მე მიმჯღარკეს, მე მომჯღარკეს
სიმართლეზე ჯვარწერილი.
რა მივჯღარკე, რა მოვჯღარკე?!
რა ალაზან, რა ენგური?!
უკადრისი რად მაკადრე,
მოგიცევე, არ გემდური.
ყვავის ენას მე რა მიგავს,
არწივებთან ნაყივლარი,
სამშობლოზე ნაცყორცნ ისარს
გადავჭედავ გულის კარით!
მე ალაზნის ცალღებს ვლოცავ,
მე ენგურზე გავალ გაღმა,
არად ვაგდებ ავთა მოდვას,
მაინც მორჩება გულში დამღად.
დასაძრახი მე რა მქირდა,
როს სამყარო ჩემზე იდგა,
ღვთისმშობელმა დამიმკვიდრა
სიყვარულად გზად და ხიდად!
მაშ, რად კვნესის ჩემი სული
სიმღერებში ასე უღვთოდ?
ის წარსული ჯვარს გაკრული
ძუ მგელივით მომსდევს უხმოდ.
ვინ უხსენა ცოცნეს რჯული,
მურით, მოღმით გახარჯულით?
კოხცაგორა ჯვარს გაკრული,
ცოცნეს გული სასწაული.
ვინ დაუდგა გვერდით რუსთველს,
ვინ ევვეთა სიკვდილს მკერდით,
შემართებას ენით უთქმელს,
არ გასწირავს ესე ღმერთი.
კოხცაგორას კოხცად ახსოვს
კოხცა სული ნაგრიგალი!
და ის ჯვარცმა ვისაც ართობს,
მასზე იყოს ცოდვა–მრალი.
ისევ კვნესის, ისევ მესმის,
სული კოლხის ნაცანჯულის.
ისე მორგავს ჩემი ლექსი,
როგორც კოლხი ამორძალი.
ქამი წახდეს, გარდასახდეს,
როს ამოერდეს თეთრი გედი.
დიდგორს ლომებს გადავძახებ,
შენს ნაცყვიარს შევაკვდები.
მე აღვმართავ დროშას დიდგორს,
როცა ქამი ჩამორეკავს
და მოვიგებ ნაღდად იმ ომს,
რომ არ დარჩეს შვილი დედას!
ჰაი, ჰაი საქართველოს,
ჯვარს გაგაკრეს გასაგმირად,
ვისგან ვითრც ასაქნელო,
ღმერთი მაინც არ გაგწირავს!

********

## დავით აღმაშენებელს!

დიდგორის ველზე შემიკრბეთ,
იქ ლომგულები გვეღიან!
ჩვენ ვაქკაცობა თან მოგვდევს,
„ძლევაი საკვირველია"!
დიდ მეფეთ–მეფეს ვუყივლოთ,
იქნებ გაგვიძღვეს თავიდან,
წმინდა გიორგი ვიხილოთ,
მარადქამს რომ გვიფარავდა.
ჰქუხდა გიორგი ჭყონდიდის,
თეთრ რაშზე ქროდა წმინდანი.
დაიზრდებიან, ხომ ვზრდიდით,
ალგეთს ლეკვები მგლისანი!
ქრისცეს რჯულისთვის მორგავდა
უპირველესი სარდალი.
წმინდა გიორგი გვმოძღვრავდა
ერთან და მერთან დამდგარი!
უნაგირამდე გაკვეთა
მძლე ათამაგის სხეული,
წმინდა გიორგი დასდევდა
გიორგი ჭყონდიდელივით!
თქვენს გვერდით მრძოლა მომინდა,
თქვენი დიდგორი მწყურია,
ჩვენ ხომ უხსოვარ დროიდან
სისხლად ვართ განაწურია.
ო, ეს ორასი მოყვასი,
ღვთის მადლით გადმონაშუქნი,
ილეწებოდნენ მრძოლაში
ჭყონდიდით გადმონაქუხნი!
იმ წმინდა მრძოლით მოვედით,
ასიათასი წმინდანით,
ვებიებდეთ და ვპოვებდით
იმ გზანით წამებისანით!
ერთ მუშცად შეკრა ქართველი,
მომხვდურს ხვდებოდა რიხითა,
მის სულს დაადგეს ნათელი,
საქმე ვქნათ დავითივითა!
უპირველესი გიწოდეს,
ჩვენთვის ხარ საფიცარია.
კიდევ ასეთი გვიმოძე,
დედაო ღვთისავ, მარიამ!
დედაო ღვთისავ, მარიამ!

## „ტყე შეუნახე შვილებსა მამა ხარ შენი ვალია"

# გაახარე და უპატრონე

ნუ მოვჭრით იმ ტოტს, რომელზედაც ვდგევართ,დღეს ბუნებას დაცვა სჭირდება არა ბუნებისაგან, არამედ ჩვენგან-ადამიანებისაგან, ამბობდა ნიკო კეცხოვლი. ამჟამინდელ საქართველოში ეკოლოგიური სიტუაცია კატასტროფულ მდგომარეობაშია, დაიწყო ახალი ათასწლეული, თითოელი ჩვენგანის წინაშე დგება კითხვა: რა გავაკეთოთ, რით აღვნიშნოთ ეს თარიღი?

-,, ერთ-ერთ საშუალებად მიმაჩნია- ამბობს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II- ხების დარგვა. ხეს დიდი ძალა აქვს, ამასთან იგი არის სიჯანსაღისა და სიცოცხლის სიმბოლო. ეს წელიწადი ისე არ უნდა დავამთავროთ ამბობს პატრიარქი,რომ თითოეულმა ადამიანმა თითო ხე მაინც არ დარგოს.''

ჩემო თანამემამულენო! რატომ მივეძალეთ უცხოურს,როცა ჩვენში ხარობდა საუკეთესო კომშის,მსხლის, ატმისა და ვაშლის ჯიშები,რომლებიც ქართველმა სელექციონერებმა გამოიყვანეს. სად არის ჩვენი უძველესი ხორბლის ჯიშები: დიკა, მახობელა ზანდური, რომელი პალმა შეედრება კვიპაროსებს, კავკასიურ ფიჭვებს, ცადატყორცნილ ნაძვის ჯიშებს, კოლხურ მუხას, ცაცხვს და ჭადარს, ჩვენში დიდი ხნის წინათ ფესვმოკიდებულ მაგნოლიებს, რომლებიც ატმოსფეროში ჩრდილისა და ჟანგბადის რეზერვუარს წარმოადგენენ. ახლა მტერი სტეჩკინებით და კალაშნიკოვებით არ მოდის,- ფარიანებით, ფაროსნებით და ათასგვარი მავნე მწერთა მუტანტებით, ყოველწლიურად ათასობით ხემცენარეს სიცოცხლეს რომ უსპობს და ანადგურებს, ჩვენ ტყეს ვჩეხავთ სიცოცხლეს ვუსპობთ ასწლოვნ გიგანტურ ხეებს, ვდგავართ და ვუცდით უცხო ქვეყნები როდის გამოიყვანს ახალ მუტანტს ახლადშემოჭრილი აზიური ფაროსანას გასანადგურებლად. თითოეულ რეგიონში ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს, რომ დაიცვას ტყე,ველი,ბაღი თუ ვენახი. ქართულ ვაზს ,,ფილოქსერა" რომ დაემუქრა მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა ,,ფილოქსერას დასი" ჩამოაყალიბა, ქუდზე კაცი გამოვიდა და გადაარჩინა ქართული ვაზი.

ღირდა კი რომელიმე ოლიმპიადა იმად, რომ გაენადგურებინა ძვირფასი მერქნიანები, ხმელეთი დაეფარა ათასგვარ ამერიკულ თუ აზიურ მავნე ფაროსნებს, რომლებიც ისე უცებ მრავლდებიან, როგორც ნაკელის ჭიები, დავიქრდეთ ამაზე,ვიდრე სრული უჟანგბადობა არ დაგვემუქრა. შენი სანერგე უნდა გქონდეს, შენი სათბური და კვალსათბური,შენი ენდემური ჯიშები რომ გამოიყვანო და გაამრავლო, შენი რელიქტები რომ შეინარჩუნო, სხვა ქვეყნიდან შემოტანილ მორებს ათასგვარი ჭია-მატლები და მავნე მწერები რომ მოყვება.

ჩვენ, ჩვენ გამოვიღოთ ხელი ჩემო ნიჭიერო ხალხო! მივხედოთ სოფელს ვიდრე ფარიანებმა და ათასობით აზიურმა ფაროსანამ არ გაგვინადგურა ჯერ კიდევ არსებული ჩვენი მრავალფეროვანი და თვალწარმტაცი ფლორა და მათ მიერ გამოხრულმა და გადაჭმულმა ფოთლებმა ფოტოსინთეზის პროცესი არ შეაჩერა და უჟანგბადოდ არ დაგვტოვა.

შენი ხეხილი დარგე და უპატრონე! ფრთხილად ქართველებო! ფრთხილად!

ძვირფასო თანამემამულენო!

თითოეული ჩვენგანის კარ-მიდამოში, ან ბინაში რომ დაიბუდოს თუნდაც ერთმა ფაროსანამ, რომელიც იძლევა სეზონზე 3-4 თაობას (თითოეული თაობა შეიცავს- 250 ინდივიდს, მამრებიც მრავლდება კვერცხის დაყრით) ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ როგორი კოლოსალური ზიანის მოტანა შეუძლია თითოეული ოჯახისათვის. საცაა გაზაფხულდება, ბუნება იღვიძებს, ძალას იკრებს ფაროსანაც.

ძვირფასო თანამოქალაქენო! ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ: - ჩემს ეზო-კარს მე მოვუვლი, სხვამ თავისას მიხედოსო, მაგრამ არსებობს დაუსახლებელი ადგილები, ან მიტოვებული სახლ-კარი. ყველგან ხელისუფლება ხომ ვერ შეაღწევს, ამიტომ ჩვენ უნდა დავირაზმოთ და დროულად შევუტიოთ ამ გამანადგურებელ მწერს, მექანიკური და თუ საჭირო იქნება ქიმიური საშუალებებითაც. ფოთში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, იქმნება მოხალისეთა კორპუსი. შემოგვიერთდით, გავერთიანდეთ ყველანი-ფაროსანას წინააღმდეგ!

**ლუიზა ჩხეტია**
**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს კომისიის თავმჯდომარე**
**ფოთის საპატიო მოქალაქე**

********

შველა უნდა ქართულ სოფელს
შეიცვალა დედამიწა და
ღრუბლების მწუხრი ბურავს,
გახვეულა ნისლის ბოლში,
ცოდვებით რომ ძლივსღა ბრუნავს,
გლობალური დათბობაა,
ამას ტყეში მგლებიც ჯავრობს,
თოვლის ცრემლი დასდენია
ევერესტს და კილიმანჯაროს.
ზღვის ტალღები ვეღარ იტევს
გემებიდან ჩაღვრილ ნავთობს,
თევზებს სუნთქვა შეუჩერდათ,
წყალში გახსნილ ჟანგბადს
ნატრობს,
ორაგულმა დაიკვნესა:
პირი სილით მაქვსო სავსე,
თორემ ახლა ვინ დამასწრებს
საყვედურით ქვეყნის სათქმელს.
თევზის ბევრი სახეობა
ამოწყდა და გაილია,
ვეთანხმები ძველ ანდაზას:
,,ზღვა წვეთობით დაილია",
ტყეს ვჩეხავთ და ახალს არ
ვრგავთ,
გადავბელავთ,ჭადარს,რცხილას,
მზე ხომ ისე აღარ მზეობს,
ზამთარია,სულში ცივა.
მიწას ისევ ახვევია,
სხვა ჭირი და სხვა დოზანა,
ამერიკული პეპელა,
აზიური ფაროსანა,
ვაშლი,კომში,მსხლის ჯიშები,
ატამი,თუ ვაშლატამა,
ულვთოდ დახრა ხეხილები,
ყველაფერი გადაჭამა.
ბოსტნეულიც მიაყოლა,
აქ ითვლიან ზარალს დიდად,
სულ გამოხრა თხილის გული,
ჩვენში ცხრა ძმას რომ ყოფნიდა
ყანას ისე შეესია,
ეჰ ზარალი ვინღა თვალოს!
სიმინდსა და ხორბლის ჯიშებს,
ულეწავენ ცოდვის კალოს.
ახლა შუაღამეა და ისევ
ვფიქრობ საფიქრალზე,
დღეს პატარა საქართველო
დარჩენილა ისევ მშრალზე,
გული მწყდება,ქართველები,
რომ მიდიან საზღვარს იქით,
არ ვიცოდი გულის წვეთებს,
რომ დავლევდი ჩაის ჭიქით,
შველა უნდა ბაღს და ვენახს,
შველა უნდა ქართულ სოფელს!
ან ქალაქი სოფლისაგან
რატომ უნდა იყოფოდეს?!
ან ,,სად თქმულა კვირეული,
უკვიროდ და უშაბათოდ",
ხე დავრგოთ და ლამაზ მამულს
ნუ დავტოვებთ უჟანგბადოთ!

**ლუიზა ჩხეტია**
**ფოთის საპატიო მოქალაქე**

## გახსოვდეთ! მრავალმილიონიანი ლექსიკა - ენის დიდ წარსულზე მიანიშნებს და მისი დიალექტებად აღიარება ან უმეცრებაა ან კიდევ დაცინვა

# მძინარე არს ენა ლაზური დღესამომდე...

## (პასუხი მეცნიერებს)

„,თანამედროვე მსოფლიოს წრეებში მწვავედ დგას ენისა და დიალექტიკის დეფინიციის საკითხი. გაჩნდა ტენდენცია კუთხური მეტყველების ენებად გამოცხადებისა”.

„,ჩემს მიერ 1986 წელს გამოთქმული ვარაუდი, რომ ლაზურს ვუწოდოთ ენა, მიმაჩნია შეცდომად, რასაც ვაღიარებ”. „,ბატონიშვილი ვახუშტის ცნობით, ყველა ლაზურ სოფელში ეკლესია იყო, სადაც წირვა-ლოცვა ქართულად სრულდებოდა. რადგან ლაზებს საღვთო ენებად ქართული მიაჩნდათ, ხოლო მღვდლები ქადაგებდნენ ლაზურ კილოზე. ყველა ეკლესიის გვერდით სამრევლო სკოლები იყო, სადაც საღმრთო წერილებს ქართულ ენაზე ასწავლიდნენ”.(ქართული ენა, როგორც კულტურულ-ეროვნული და ისტორიულ-პოლიტიკური მთლიანობის საფუძველი-პროფ. ნათელა ქუთელია). ვფიქრობ, პროფ. ნათელა ქუთელიას საქვვეყნოდ უარყოფა ლაზური ენის ენად აღიარებისა მოკლებულია ჭეშმარიტ ისტორიულ ფაქტს. მართალია საღვთო სწავლება ლაზურ სოფლებში ქართულად მიმდინარეობდა, მაგრამ ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ლაზური, ენა არ რის! ისტორიკოსი ნ.ქუთელია შეგნებულად და მიზანმიმართულად ჩქმალავს პირველადი ენის ისტორიულ ფაქტს და ეყრდნობა მსოფლიოში შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, როდესაც დიდი ხნის უკან დაკნინებული იყო იბერიული ცივილიზაცია, რა დროსაც მამების, (ქურუმები) მიერ,(ჯერ კიდევ შვიდი წლით ადრე) სანამ გაბატონდებოდნენ ინდოევროპული მოდგმის ხალხები, დაფარულ-დაფლულ კოდირებულ იქნა ლაზური ენა, (ანბანი) რის შესახებ, ჩემს წინა წერილში სრულად მაქვს გაშუქებული...

პროფ. ნ. ქუთელია (დარწმუნებული ვარ) სრულად ფლობს ლაზური ენის დაფლვის მიზეზებს, მაგრამ იგი შეგნებულად თვალს ხუჭავს ისტორიულად დადგენილლი ფაქტის არსებობაზე. ამის საფუძველს მაძლევს ნ. ქუთელიას ცნობა 1986-წელს ლაზური ენის, ენად აღიარება, მიზეზი, ვგონებ, ზეწოლა „,ქართუ” მეცნიერების, რომელთა ზეწოლით ნ. ქუთელია შეეცადა ძირი ამოეგდო იმ ენისა, რომელიც მოიცავდა დედამიწის უდიდეს ნაწილს კავკასიიდან-ინდოეთის ჩათვლით.

ასევე მინდა ავღნიშნო პროფ. თეიმურაზ გვანცელაძის წერილში, „,ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის ძირითადი კრიტერიუმები, და ქართველური ენობრივი სამყარო”. (ქართველური მემკვიდრრეობა VII-2003წელი), სადაც ის აცხადებს: „,... დედა ენა ქართულია, მეგრული და სვანური დიალექტები კი ისეთივე სამტყველო კოდებია, როგორიცაა იმერული, ქართლური, მოხეური თუ მაჭახელური”. ღიმილის მომგვრელია მისი ასეთი სახით შეფასება, მიზნად რომ არ ისახავდეს შეპარვითი ფორმით ლაზურ-მეგრულ სვანურ ენების დაკნინებას.

პროფ. თ. გვანცელაძე ქართული ენის დიალექტად, კუთხურ ენად, კილოკავად მოიხსენიებს მეგრულ-ლაზურ-სვანურ ენებს და მას ენათა ერთიანობით ადარებს იმერულს-ქართლურს-ხევურს და მაჭახლურს, რაც შეგნებულ შეცდომად ითვლება! რამეთუ, მეგრულ-ლაზურ-სვანური ენები რადიკალურად განსხვავდებიან ქართულისაგან. ხოლო იმერული, ქართლური, კახური, ხევური, ამ კუთხეების მოსახლეობის მშობლიური ენაა. და, აი, აქ ხდება ქართული ენის დიალექტებად, კუთხურ ენებად განფენა, მაგრამ არამც და არამც მეგრულ-ლაზურ-სვანურთან გაიგივება, რადგან ამ სამი ენის კულტურა არსებობდა ჩვენს ისტორიამდე, ხოლო ქართული ენის სათავე ქუჯი ფარნავაზიდან იწყება. რის შესახებ, ასევე, სრულად მაქვს განმარტებული ჩემს წინა ნაშრომში.

ასევე, ჩვენი სულის, (წინარე ისტორიის) პირველადი ენის საწინააღმდეგო განცხადებას აკეთებს პროფ. ტარიელ ფუტკარაძე თავის წერილში: „,მონათესავე ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაციის საკითხისათვის თანამედროვე მეცნიერებაში”. (ენა და კილო -ქართველური მემკვიდრეობა VII-2003წელი). აი, რას ამბობს პროფ. ტ. ფუტკარაძე: „,დღეს ბუნებაში არ არსებობს თვისობრივად უცვლელი არცერთი ენა, რომელიც არსებობდა 5000 წლის წინ; რაღა სვანური, ქართული თუ ლაზურ-მეგრული შემორჩა დედამიწას? დაუკვირდით ამ პროფესორის ცინიზმით აღსავსე სიტყვებს: „,რაღა სვანური” და ა.შ. ბუნებრივია, რადგან ამ დედამიწაზე ყველაფერი ცვალებადია, მათ შორის ენა, (გარდა ღვთის სიტყვისა). მაგრამ ენის ცვალებადობა საწყის-პირველად ენასთან, (მოცემულ საკითხთან დაკავშირებით) სრულად შეუსაბამოა. ჩვენ განვიხილავთ არა ენის ცვალებადობას, არამედ, ლაზური ენის რეალურად არსებობის ფაქტს.

ამასთან დაკავშირებით, მინდა ვუპასუხო პატივცემულ პროფ. ტ. ფუტკარაძეს, რომ 5000 წლის წინ უკვე არსებობდა ქალხეთელების, (კოლხეთი) სამეფო. და, ამ სამეფოში მთელი თავისი ბრწყინვალებით (მაშინდელ მსოფლიოში) ლაზისის (ფაზისი) აკადემია, სადაც ისწავლებოდა, როგორც რელიგიის, ასევე ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომლის სწავლულებს (ქურუმები) პირამიდების მშენებლებად, (არქიტექტორებად) მიიჩნევდნენ. ცნობისათვის: პირამიდების პირველი მშენებლობა 5000-5500 წლის წინათ დაიწყო, რა დროსაც, უკვე კოლხები ფლობდნენ რიცხვთა მოქმედების ურთულეს ხელოვნებას და, ყოველივე ამას უანბანოდ?! და, ეს ენა, (ანბანი) გახლდათ ენა ლაზური, რომლის ერთიან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მეგრულ-სვანური, რასაც ასე მონდომებით ეწინააღმდეგებით...

ასევე, ტ. ფუტკარაძეს მოჰყავს პროკოპი კესარიელის მსჯელობა ქუთაისის სახელის შესახებ, კერძოდ: „,ლაზებმა ბერძნული ენა არ იციან, ამიტომ ამახინჯებენ და კოტიაონს, ქუთათის ეძახიან. ცნობილია, რომ მეგრულ-ჭანურად ქუთაისს ქუთეში ჰქვია; გამომდინარე აქედან, პროკოპის დროს ლაზური (მეგრულ-ლაზური) მეტყველება ჩვენთვის ცნობილი სახით ჯერ ჩამოყალიბებული არ არის”.

უხერხულია, მეცნიერულად ისაუბრო იმ ენის შესახებ, სადაც (შენი ცოდნით) არაფერი გესაქმება. პირველი ის, რომ სანამ პროკოპი კესარიელი შესდგებოდა, რამოდენიმე ათასწლეულების წინ უკვე არსებობდა კოლხურ-იბერიულ-ლაზური ცივილიზაცია. რაც შეეხება, ბერძნული კოტიაონის მოხსენიებას ლაზების მიერ „,დამახინჯებულად” ქუთეშით -ახლოს, რომ ყოფილიყავით ამ ენის ცოდნასთან, საკუთარ თავს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდებდით. ვინაიდან, ის ადგილი თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით, არის ქვიანი, რომელსაც ლაზ-მეგრელ-სვანები ეძახდნენ „,ქუთეშის”. აქედან გამომდინარე ლაზ-მეგრელ-სვანებმა თავისი შესატყვისი სახელიც უწოდეს. შემდეგ კი ძვ. ბერძნებმა კოტიაონი დაარქვეს.

და ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ ყველას გასაგონად ხმამაღლა განვაცხადო: „,პირველადი, დასაბამისეული ენა არის ლაზური!” მთელი თავისი განფენილობით,(მეგრულ-სვანურ-ზანურ-ჭანური) რომელიც გახლავთ მარგალიტი იბერიულ-ლაზურ-კოლხური ცივილიზაციისა. რაც შეეხება ქართულ ენას - დღემდე ვერ გაუგიათ მისი უზენაესი სულიერი დანიშნულების შესახებ, რაც არის ჯვარი ქრისტესი, რომელმაც იღო უფლება ლაზარეს, (ანბანი) აღდგომის უკანასკნელ დღედმდე. რა დროსაც გაცხადდება კაცობრიობისათვის დღედმდე დაფარული საიდუმლოებანი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ნიკოლოზ იბერი
16.03.2018წელი.

---

## ინფრასტრუქტურა ქალაქის სავიზიტო ბარათია

### ბლიცინტერვიუ ა(ა)იპ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის დირექტორთან,

# ბატონ ზაზა ვადაქარიასთან

დასაწყისი მე-3 გვ-ზე

სათანადო გადამოწმებისა და დაზუსტების შემდეგ იურიდიულ პირებთან ჯამში გაფორმებულ იქნა 729 ხელშეკრულება.

გაანგარიშებულ იქნა დავალიანებები როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან

ქალაქ ფოთის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებთან ერთად ჩატარებულ იქნა აქციები საზოგადოებაში მოსაკრებლის გადასახადის ცნობადობის მიზნით.

მიმდინარეობს გადამხდელთა ბაზის დაზუსტება და შესაბამისი კორექტირებების შეტანა, ასევე გატარებულ იქნა გარკვეული ღონისძიებები დაგროვილი დავალიანებების ამოღების მიზნით.

*სკვერების მოვლა-პატრონობის დაგამწვანების სამუშაოების განყოფილება* ყოველდღიურად ახორციელებს პარკებისა და სკვერების დაგვა-დასუფთავებას და შეგროვილი ნაგავის გატანას.

განხორციელდა ყოფილი პ/მ ტექნიკუმის მიმდებარე ტერიტორიის ეკალ-ბარდებისაგან გასუფთავება, ხმელი ხეების მოჭრა და ტერიტორიაზე არსებული ხებუჩქების შესხეპვა, შეისხიპა 35 ძირიხე

გეგიძის ქუჩაზე (ორივე მხარეს) შეისხეპა 87 ძირი ხე.

9 აპრილის ხეივანზე შეისხეპა 80 ძირიხე.

მალთაყვის უბანში -ახალ რაიონში მოიჭრა 2 ძირი ხე.

ნიკოლაძის სანაპიროზე შეისხეპა 113 ძირი ხე.

ნიკოლაძის სანაპიროზე ხეებისა და ბუჩქების შესხეპვა, საშეშე მასალის შეგროვება და გატანა -შეისხეპა 35 ძირი ხე, გაიკრიჭა 25 მეტრი ცოცხალი ღობე.

აკაკის ქუჩის ორივე მხარეს შეისხეპა 44 ძირი ხე.

გაიფხიკა ბარათაშვილის, ხელოვანთა და 8 აგვისტოს სახელობის სკვერები, შემოიბარა ნარგავები. ფაზისის ქუჩის დასაწყისიდან სამკერვალო ფაბრიკის მთლიან პერიმეტრზე გაითიბა ბალახი და ეკალ-ბარდები, მოიჭრა 1 და გადაიბელა 9 ძირი ხე.

კოსტავას ქუჩაზე (აეროპორტის ტერიტორიის ჩათვლით) გაითიბა და გაიწმინდა ბალახი და ეკალ-ბარდები.

გაითიბა ბალახი და გაიწმინდა ეკალბარდები 8 მარტის ქუჩაზე, კოკაიას ხეივანზე, ლარნაკას ქუჩაზე.

შემოიბარა ნარგავების ძირები 9 აპრილის ხეივანზე, დანელიას ქუჩაზე და ნიკოლაძის სანაპიროზე.

გარდა ყოველდღიური სამუშაოებისა, ჩვენს მიერ დაიგეგმა დიდების მემორიალის და ტყე პარკის გაწმენდა. ცენტრალურ პარკის მიმდებარედ და აღმაშენებლის ქუჩაზე ყვავილებისა და მარადმწვანე ბუჩქების დარგვა, ასევე ქუჩების დაგრეიდერება, რომელიც ნაწილობრივ მაინც გააუმჯობესებს ქალაქის ინფრასტრუქტურას. მომავალში შესაძლებლობიდან გამომდინარე დაგეგმილია სანერგე მეურნეობის შექმნა, რომელიც ძალიან გამოადგება ჩვენს ქალაქს.

ასე, რომ მართლაც სავიზიტო ბარათია ჩენი სამსახური. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ურთულეს უბანს ქალაქის ცხოვრებაში. მოახლოვდა გაზაფხული და ზაფხულის სეზონი. მოსალოდნელია ტურისტების დიდი ნაკადის შემოსვლა, აქედან გამომდინარე ჩვენი ვალია მომზადებული შევხვდეთ მას.

გმადლობთ ინტერვიუსათვის და გისურვებთ წარმატებებს

ი. სპერი

---

# წლები ჩემი სიმდიდრეა...



## მილოცვა ცაცა ბიცოლას

*90 წელი, დიდებული თარიღი, რომელიც დიდებულად გაიარა დიდებულმა ქალბატონმა, მრავალი თაობის, კარგი შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების აღმზრდელმა, რესპუბლიკის* ***დამსახურებულმა პედაგოგმა - ცაცა კინწურაშვილი - ბოკუჩავამ.***

*საყვარელო ბიცოლა, მოწიწებით გეამბორებით იმ დიდ ნათელ შუბლზე, კიდევ ბევრჯერ ვისურვებდით თქვენს ბრძნულ დარიგებებს, თქვენს სითბოსა და ალერსს ასე უხვად რომ გემეტებოდათ ყველასათვის.*

*თქვენი მოსიყვარულე მაზლიშვილები.*

---


## ფონდი-მცირე ბიზნესის განვითარებისათვის

# ძვირფასო თანაქალაქელებო!

იდეების განვითარების ფონდი „,ZEITER”-ის კოორდინატორი ქ. ფოთში აწყობს შეხვედრებს ჩვენს თანაქალაქელებთან და იღებს განცხადებებს მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მიზნით.

ფონდის დამაარსებელია ცნობილი ბიზნესმენი, ქველმოქმედი და მეცენატი ბატონი დავით კარტოზია.

განცხადებები მიიღება 200-დან 20 000 ამერიკული დოლარის ოდენობის გრანტების მოსაპოვებლად.

საკონტაქტო ტელეფონები: 558 39 40 41
591 94 58 31

# „ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიამ ახლადარჩეულ თვითმმართველობას დიდი ნიკოლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა შეახსენა

## როგორ აკლია ქვეყანას ულმობელი საქმის კაცი, რომელმაც დროს საუკუნეებით გაუსწრო



dasawyisi ixileT # 11 (265) 2017 weli

### ნიკო ნიკოლაძის შეხედულებანი პოლიტიკურ პარტიებსა და ლიდერებზე

... niko nikolaZe akeTebs evropuli da rusuli politikuri partiebis SedarebiT analizs. misi dakvirvebiT ruseTSi (saqarTveloSic) politikuri partiebis mesveurni viwro humanitaruli ganaTlebis mqone adamianebi arian da Sors dganan teqnikur-ekonomikuri ganaTlebisagan: "aq (ruseTSi) iseTi pirebi meTaurobdnen, romelTac sruliad araferi gaegebodaT arc finansebis, arc teqnikis, arc vaWrobis, arc TavianTi qveynis eTnografiis. samxedro an sazRvao saqmeze xom raRa laparaki unda. swavla TiTqmis yvelas hqonda - raca ebada - marto literaturuli, filosofiuri an iuridiuli, isic viwro samsajulo mxris. sazRvars gared ki yvela politikuri partiis kadri da Stabi sxvadasxva specialistebis saCino moRvaweebisgan arian Semdgarni. partiebs iq metad rTuli sasicocxlo saqmeebi morigad udgaT win, romlis marTva erTob marjve Ronisa da codnis moxmarebas Txoulobs. amitom meTaurebs gavlenis SerCena rodiRa SeuZliaT marto frazebis raxaruxiT an miuwvdomeli simaRlisaken frTebis farTxaliT".1881 wlis ivnisSi Tavis gazeTSi "obzori" niko nikolaZem dabeWda statia "safrangeTis respublikuri partiis kandidatebi", romelSic saubaria am partiis da mis liderTa mzadebaze arCevnebisTvis. igi aqebs am partiis xelmZRvanelebs, romlebmac gadawyvites respublikuri partiisaken miizidon Tanamedrove safrangeTis yvela uniWieresi da didi adamiani. am mizniT maT politikur sarbielze wamoswies TiTqmis yvela is piri, romelTac Tavi gamoiCines da didi saxeli moixveWes mecnierebasa da xelovnebaSi. maT wamoayenes da senatSi gaiyvanes ori yvelaze ufro gamoCenili qimikosi - biurci da bartelo. am Rirseuli adamianebis arCevam ulaparakod Caawynara TviT partiuli mtrebic ki. nikolaZe xazs usvams, rom "am arCevnebSi kidev erTxel gamoCnda gambetas didi organizaciuli niWi: partias, romelsac SeuZlia dafaseba, Tavisken mizidva da warmoCena qveynis saukeTeso adamianebis, Tavisuflad SeuZliadaumarcxeblobis imedi hqondes momavalSic... imisaTvis, raTa SeZlo aseTi adamianebis dafaseba Tavad unda iyo niWieri, raTa dainaxo maTi Rirseba da ar geSinodes maTi metoqeobisa".

nikolaZe miuTiTebs, rom politikuri partiebi erTmaneTs ebrZvian gavlenisaTvis da gamarjvebisaTvis, razec did energias xarjaven, magram saboloo jamSi es araa mTavari - umTavresia Tu rogor gamoiyenebs gamarjvebuli partia Tavis gavlenas da Seasrulebs Tavis danapirebs: "yvelaze ufro mZime da gavleniani saqme partiebisaTvis, imaSi mdgomareobs, Tu rogor moixmars romelime partia Tavis gamarjvebas, ras gaarigebs da gaawyobs is, roca brZolis asparezi xelSidarCeba, rogor gamoiyenebs is Tavis gavlenas da daagvirgvinebs Tavis Sromas. rac ufro xeirianaT da daufantvelaT xmarobs Tavis Zalas gamarjvebuli partia, miT ufro xangrZlivia misi gavlena, miT ufro da ufro sustdeba misi winaaRmdegi partia, miT ufro Zlierdeba sazogadoebis myudroeba da bedniereba". nikolaZe amasTan akonkretebs, rom rogorc gamarjvebulma, ise sxva normalurma partiebma xalxisTvis yvelaferi unda gaakeTon Riad, gamWvirvaled, yovelgvari oinebis, kombinaciebis da intrigebis gareSe: "rac ki ram gakeTebula qveyanaze didi an saxeiro, xalxisTvis, gakeTebula aSkarad, saqveynod, pirdapiri, marto patiosani saSualebiT, martonamdvilis ZaliT, gonebiTis an fizikuris ZaliT, da ara oinobiT, pirferobiT, farisevlobiT, da sxva am rigi saSualebiT. marto "klikas", avazakurs brbos Seefereba qveSqveSurad moqmedeba sazogado asparezze". niko nikolaZe gamoyofs orgvar xerxs ama Tu im sazogadoebis, partiis saTaveSi dasadgomad da mis samarTavad. pirveli esaa sakuTari gegmisa da ideis gamomuSaveba da maTi dayvana umetesobis azrovnebamde seriozuli ideuri brZolis gziT, rac azrTa Sejaxebazea dafuZnebuli. aseTi brZolis warmatebiT damTavrebis Semdeg gamarjvebuli mimarTulebis pozicia ara marto myaria, aramed pozitiurad moqmedebs sazogadoebriv cxovrebaze. aseTi mimarTulebis meTaursgamarjvebis Semdeg ukve aRaraviTari gansakuTrebuli daniSnuleba aRar aqvs. raki misi azrovneba, mizani, sistema dateqnika sayovelTao sakuTrebadaa qceuli, SesaZlebelia nebismierma inteligentma ufro moxerxebulad warmarTosukve dawyebuli saqme. erTi sityviT "ama Tu im mimarTulebis gamarjveba win swevs mTel sazogadoebas, vinaidan mis azrovnebasa da ganwyobilebaSi mxolod progresis saSualebiTaa SesaZlebeli aseTi gamarjvebis miRweva, im ideebis sayovelTao sakuTrebad qceva, romelic Tavdapirvelad mxolod ramdenime inteligentis arsebaSi Tu iyo miCqmaluli". nikolaZis TqmiT, meore xerxi Seudareblad ufro martivi da xelmisawvdomia. im SemTxvevebis dros, romelicsazogadoebis yuradRebas imsaxureben, sakmarisia daeyrdno adamianTa umetesobis ganwyobilebas, mixvde maTsurvilebs da SeZlo maTi erT formulaSi Camoyalibeba, rom sazogadoeba siamovnebiT dagayenebs Tavis meTaurad. magram amas aqvs Zalze negatiuri mxarec: "es xom CamorCenili sazogadoebis xelSi sruliad umniSvnelo figuradqcevas niSnavs, es xom flugeris rolia, romelic mxolod umravlesobis ganwyobilebas gamoxatavs da gana aseTiadamiani marTavs sazogadoebas? piriqiT, swored sazogadoeba marTavs amgvar "xelmZRvanels". ganaRa unda gvikvirdes, rom aseTi "winamZRoli" waramara iZulebuli xdeba, brbos mudmiv cvalebadi ganwyobilebis gaTvaliswinebiT dResgvimtkicos is, rasac erTi wlis win uaryofda da piriqiT? (mere am sakiTxs ufro CauRrmavda gustav leboni - v.S.). raTqma unda, amgvar "inteligencias" ukve aRaraviTari gavlena aRara aqvs masaze, radgan aq rolebia Secvlili: masTviTon ki aRar mihyavs sazogadoeba, aramed sazogadoeba miaTrevs mas yvelgan, saiTac ki gaiweven misi bneliinstinqtebi. nikolaZis dakvirvebiT meTauris, winamZRolis savarZelSi daumsaxureblad aRmoCenili adamianis mTavari maxasiaTebelia is, rom igi yovelgvar saSualebas mimarTavs, raTa CamoiSoros yvela niWieri, damoukideblad moazrovne adamiani, irgvliv Semoikribos uniWoebi, romlebic usityvod Seasruleben "meTauris" neba-survils da sruliad upasuxismgeblod gaiyofen, masTan SeTanxmebiT, winamorbedis flugerul rols, aseT "winamZRolebs" ise eSiniaT da gaurbian niWier adamianebs, rogorc eSmaki - sakmevels: "niWieri xalxis raRac saqmiT dasaintereseblad saWiroamuSaoba, dabejiTeba, azris Tanmimdevroba, xasiaTis simtkice, maT ar SeiZleba mxolod ubrZano: "gaakeTeT es da es", saWiroa iqve daasabuTo - ratom unda gakeTdes swored es da ara sxva ram, xolo gonebaClungebTan ki, romelTa uWkuoTavebSi arasodes daibadeba raime winaaRmdegoba, eWvi an SekiTxva, SeiZleba Semoifarglo miTiTebiTa dabrZanebebiT".

sabolood nikolaZe daaskvnis, rom aseTi meTaurebis survili - gamoCdnen diadni, ris miRwevasac isini cdiloben Tavis garSemo mxolod qondriskacebis SemokrebiT, marcxisTvisaa ganwiruli - "wiwilebSi mamalic gamoirCeva simaRliT, magram mas amisTvis gigantad aravin Tvliso", "saWiroa qona ara mxolod gonebis, codnis, xasiaTis brwyinvalebisa, aramed darbaiseli xarisxisac. maSin Tavisuflad da yovelgvari moTxovnilebis gareSe damyardeba is prestiJi, uromlisodac warmoudgenelia raime disciplina".

ra SemTxvevaSi SeiZleba SesTavazos pirovnebam Tavis Tavi liderad xalxs? nikolaZis daJinebuli TvalsazrisiT, issaTaveSi unda dadges im SemTxvevaSi, "Tu Tanamemamuleebze ufro gamWriaxi, dakvirvebuli, moxerxebulia da icisrodis unda daZras isini win, xolo roca saWiroa, adgilze SeaCeros".

niko nikolaZe erTmaneTs adarebs evropel da qarTvel sazogado da politikur moRvaweebs. misi azriT, evropis sazogadoebriv cxovrebaSi mTavar rols Cveulebriv ori tipis moRvaweni asruleben: fanatikosebi da moangareebi (e.i. angarebiani adamianebi). rac Seexeba saqarTvelos, "sazogadoebrivi moRvaweobisTvis momzadebuli adamianebi, - xazsusvams nikolaZe, - romlebic am saqmianobisTvis saWiro codniT da niWiT iyvnen aRWurvilni, CvenSi Zlier cotaa. kidev ufro naklebad gvyvanan fanatikosebi, romlebic ikisrebdnen sazogadoebriv moRvaweTa rkinis borkilebistarebas... kidev ufro meti raodenobiT gvyvanan savsebiT moumzadebelni pirni, romlebsac brwyinvalesazogadoebrivi mdgomareobis uzomo mada aqvT, magram sruliadac ar gaaCniaT arc mSvidi angariSianoba, arcgamZleoba, arc unari, rom sakuTari Zal-RoniT da metnaklebad rigiani sazogado saSualebebiT miaRwion TavianTmizans da raki sxva tipis sazogado moRvaweni Cven ar gagvaCnia, amitom burTi da moedani rCeba xolme am ori tips - saTno aziz-mazizebs, erTi mxriv, da arakeTilsindisier intriganebsa da moangareebs - meores mxriv" (amis saukeTeso magaliTi iyo erTiani nacionaluri moZraobis elita). aseTi "liderebisa" da "moRvaweebis" CamoyalibebaSi da xelisuflebaSi mosvlaSi negatiur rols Cveni sazogadoebac asrulebs misTvis damaxasiaTebeli iseTi TvisebebiT, rogoricaa pirmoTneoba, mliqvneloba, panegiriki, upasuxismgebloba (anu "yizilbaSoba", rogorc amas ilia WavWavaZe uwodebda): "gasagebia iseTi sazogadoebis mavnebloba - werda n. nikolaZe, - sadac Tqvens azrebs brmad imeoreben da sadac kritikuli damokidebulebis nacvlad xotbasgasxamen. aseT viTarebaSi adamianis gonebas eufleba Zili da igi sul ufro naklebs muSaobs sakuTar Tavze".

politikuri liderebis Sesaxeb niko nikolaZis Tvalsazrisi yvelaze kargad gamoCnda mis vrcel narkvevSi "lui blanida gambeta", romelic pirvelad rusul enaze daibeWda m. saltikov-SCedrinis JurnalSi "oteCestvennie zapiski". esaa useriozulesi politologiuri, analitikuri gamokvleva Tavis Tanamedrove cnobil frang politikosebze, romlebic TiTqmis erTdroulad gardaicvalnen. lui blani (1811-1882) da leon gambeta (1838-1882) iyvnen safrangeTis respublikuri partiis liderebi da Zalze cnobili politikosebi. saerTod unda iTqvas, rom niko nikolaZesTvis mniSvnelovania rogorc liderobis TvisebaTa Teoria (romelic aqcents akeTebs lideris pirovnul TvisebaTa mravalferovnebaze), aseve situaciuri Teoria (romlis mixedviT situacia qmnis an warmoaCens liders). misTvis mainc gadamwyvetia lideris praqtikuli da ara imdenad Teoriuli moRvaweoba. gambetas politikuri moRvaweobis analizs igi iwyebs misi gardacvalebis cnobiT, rom sikvdilma politikur asparezs CamoaSora udidesi Zala, romelsac SeeZlo gavlena moexdina ara marto safrangeTis bedze, aramed msoflio movlenaTa msvlelobaze, e.i. nikolaZes gambeta miaCnda msoflio mniSvnelobis figurad, romelSic igi xedavda swored praqtikul Zalas. nikolaZe aqve imowmebs sazogadoebriv azrs, romlis Tanaxmad moazrovneni SeiZleba daiSriton da gaRatakdnen, magram praqtikuli moRvaweni mudam axalgazrdebi da dauSretelni arian. maT SeuZliaT Rrma moxucebulobamdesargebloba moutanon sazogado saqmes. amitom, roca aseTi moRvaweni kvdebian, yvelas eCveneba, rom maTTan erTadimarxeba uamravi nayofieri saqme (es sityvebi Tavad n. nikolaZezea zedgamoWrili). niko nikolaZe maRal Sefasebas aZlevs lui blanisa da gambetas moRvaweobas, romlebmac TvalsaCino roli Seasrules safrangeTis istoriis kritikul periodebSi 1848-1882 wlebSi. nikolaZis moxdenili gamoTqmiT "maT hqondaT saaTebida Tveebi yvelaze ufro saxarbielo diqtaturisa - gonebis, talantis diqtaturisa". maT am aRiarebas miaRwies simdidris, armiis, organizaciis (partiis), piradi pativismcemlebisa da maCanCalebis gareSe, yvelaze SfoTian periodebSi miaRwies frangTa morCilebas, rac Zneli gasakeTebelia. maTi erTaderTi iaraRi iyo TanamoqalaqeTa rwmena da gonebaze zemoqmedeba. nikolaZe ikvlevs, Tu ra ganapirobebda drodadro maTSi Zalis an uZlurebis mozRvavebas, maTi politikuri mniSvnelobis arastabilurobas, maT gavlenas TanamedroveTa gonebasa da bedze. nikolaZe miuTiTebs, rom nekrologebiT, romlebSic yvela micvalebuli geniosadaa gamoyvanili, Znelia realobis da simarTlis dadgena. iseT qveyanaSi pirvelobis mosapoveblad, rogoricaa safrangeTi, saWiroa asjer ufro meti niWi da Zala, vidre sxva romelime qveyanaSi.

გაგრძელება იქნება

# სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი...

## კრივი



5-12 მარტს ყაბარდო ბალყარეთის ქალაქ ნალჩიკში გაიმართა საერთაშორისო ,,ა'' კლასის ტურნირი კრივში, სადაც საქართველოს ნაკრებიდან მონაწილეობდა 4 მოკრივე: გელა აბაშიძე (ბათუმი), გიორგი დოლიაშვილი (გორი), მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი), იაგო კიზირია (ფოთი).

ფოთელმა იაგო კიზირიამ 81 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა II ადგილი და გადაეცა საუკეთესო მოკრივის თასი. ასევე, გიორგი დოლიაშვილმა მოიპოვა II ადგილი, ხოლო გელა აბაშიძემ - I ადგილი.

სპორტის სამსახური ულოცავს მიღწეულ წარმატებას იაგო კიზირიასა და მის მწვრთნელს ვლადიმერ ჭანტურიას.

## სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ,,გეზრბენში"



16 მარტს 9 აპრილის ხეივანზე გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალაქ ფოთის პირველობა ,,გეზრბენში'' საჯარო სკოლის მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა შორის.

ვაჟთა შორის I ადგილი მოიპოვა 11 საჯარო სკოლამ, II ადგილი - 4 საჯარო სკოლამ, III ადგილი -3 საჯარო სკოლამ.

გოგონათა შორის I ადგილი მოიპოვა 8 საჯარო სკოლამ, II ადგილი -11 საჯარო სკოლამ, III ადგილი -5 საჯარო სკოლამ.

სპორტის სამსახური გამარჯვებულ სკოლებს ულოცავს მიღწეულ წარმატებებს.




## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი

*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*


## 4 მარტი ლეილა კაკულიას დაბადების დღე

**სევდიანი მონატრება**

### როგორ გვაკლიხარ დიდო ქალბატონო!



საქართველოში, მედეასა და თამარის სამშობლოში სახელოვან ქალებს რა გამოლევს, მაგრამ მათ შორის შენ, უპირველეს ყოვლისა ყველაზე განსაკუთრებული, ორიგინალური და ბრწყინვალე ქალბატონი იყავი. შენი ლამაზი ცხოვრებით, საკუთარ თავს სიცოცხლეშივე აუგე ძეგლი ხელთუქმნელი და უნეტარესი. შენი გარდაცვალებით ყველას დიდად დაგვწყვიტე გული. შენ ხომ ჩვენი მშობლიური ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე და ჩვენი თაობის ღირსეული და ბრწყინვალე წარმომადგენელი, მეგობრობის ბაირახტარი, გამოჩენილი სახელმწიფო, საზოგადო, პარტიული მოღვაწე და ჩინებული ინტელიგენტი, მგზნებარე კოლხიდელი, დიდი პატრიოტი და ქველმოქმედი ბრძანდებოდი.

შენთვის ვლოცულობთ!

იძინე მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყოს შენს ნაჭრილობევ და სპეტაკ მკერდზე მშობლიური ქართული მიწა, რომელიც თავზე მეტად გიყვარდა და ყველაფერს აკეთებდი მისი დიდებისათვის.

,,...როგორ გვაკლიხარ, დიდო ქალბატონო,
ჩვენი ქალაქის მართლა მშვენებავ"...

სამარადისო დიდება შენს ნათელ სახელსა და სულს.

შენი მოსიყვარე ფოთელები

## გამოსათხოვარი

### ,,კარგსა რადა კლავ სიკვდილო, თავადაც არა კვდებია?

# გივი ბუკია

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი სპორტსმენი, ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფოთელებისთვის საყვარელი პიროვნება, სპორტის დამსახურებული მუშაკი, საპატიო ნიშნის ორდენოსანი **გივი ბუკია**.

გივი ბუკია დაიბადა 1938წლის 15 დეკემბერს სენაკის რაიონის სოფელ ხორშში.

1950 წელს ოჯახის ფოთში გადმოსვლის შემდეგ დაამთავრა მე-2 საშუალო სკოლა. აქვე ეზიარა სპორტს, დაუღალავი წვრთნით, მიაღწია უმაღლეს სპორტულ წარმატებებს. ის იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიოონი და მრავალგზის პრიზიორი სახანძრო გამოყენების სპორტში,- 1968 წელს ლელინგრადში გამართულ ევროპის საერთაშორისო ჩემპიონატში მოიპოვა ოქროს მედალი, ასევე 1969-70-71 წლების სოციალისტური ქვეყნების პირველობის სამგზის ჩემპიონი იყო. ის ამასთანავე წარმატებით ასპარეზობდა მძლეოსნობაში და მრავალგზის გამარჯვება თუ საპრიზო ადგილი აქვს მოპოვებული. მიღწეული წარმატებების შედეგად ის 1969 წელს დასახელდა ფოთის საუკეთესო სპორცმენად.

აქტიური სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ დაგროვებული გამოცდილებითა და სპორტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტში მიღებული ცოდნით შეიარაღებული ეწეოდა სამწვრთნელო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. აღზარდა მრავალი თაობა, მაღალი კლასის ოსტატები და ღირსეული მოქალაქეები. მან დააკვალიანა და უმაღლეს საფეხურს აზიარა სახანძრო გამოყენებითი სპორტის აღსაზრდელები და მისი ამ პერიოდის მოღვაწეობა აღიარებულია ,,ოქროს" ხანად. მისი მოღვაწეობის პერიოდი სათანადოდ იქნა აღნიშნული. ამის დასტურია, ის რომ საქართველოს სახანძრო დაცვის სამმართველოს საგამოფენო დარბაზს ამშვენებს ბრინჯაოს ბიუსტი წარწერით-**გივი**



**ბუკია**, იგი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით.

გივი ბუკია მრავალი სპორტული მიღწევების გარდა, უფლისა და ბუნების მადლით დაჯილდოებული იყო ორგანიზატორული ნიჭით. ის თითქმის ოთხი ათეული წლის განმავლობაში ერთნაირად ხელმძღვანელობდა საქალაქო სპორტულ საზოგადოება ,,სპარტაკს" და მძლეოსნობის სასპორტო სკოლას.

აი ასეთი პიროვნების მიმართ, რთულია ისაუბრო წარსულში.

წავიდა ჩვენგან თავმდაბალი და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება, რომლის სახელი დიდხანს ემახსოვრება ფოთის სპორტულ საზოგადოებას.

მას მეგობარმა, ბატონმა ლევთერ ჭოჭუამ მიუძღვნა გამოსამშვიდობებელი სტრიქონები:

მე სიკვდილი არ მინდოდა
თქვენთან ყოფნა მერჩივნა,
განგებამ კი არ დამტოვა
გზა ზეცისკენ მაჩვენა.
ზეცაში ვარ, გადმოგყურებთ,
მენატრებით ძალიან,
აქ კი მანუგეშებელი,
წინაპრები არიან.

მშვიდობით ჩვენო საყვარელო და ერთგულო კაცო.

უახლოესი მეგობრები

## ცხოვრება წიგნის სამყაროში...

### თინა სალაყაიას მოგონება



21 მარტს 40 დღე შესრულდა რაც ჩვენს შორის აღარახარ.

მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამქვეყნად. შენი სახით კიდევ ერთი ძვირფასი მეგობარი, თავისი საქმის პროფესიონალი, რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი გავაცილეთ ამ ქვეყნიდან.

შენ ხომ ყველა თაობის სიყვარულს თანაბრად იმსახურებდი. ,,ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშიაო" - და ვრჩებით ამ სიტყვების იმედად. არასოდეს დაგივიწყებთ! გვაკლიხარ და გვენატრები, უფალს ვთხოვთ მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს შენს უკვდავ სულს..

შენი ლეილა

## გამოსათხოვარი

### ,,მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა"...

# იური თოფურია



ნაღდი ფოთელი!- უყვართ ფოთელებს ასეთი გამოთქმა და მას მხოლოდ გამორჩეულ პიროვნებზე იტყვიან, რაშიც იგულისხმება პატრიოტიზმი, ჰუმანიზმი, სტუმართმოყვარეობა, ფოთის წარსულის განდიდებითა და დღევანდელობის სამსახურით. ასეთი კარგი ვაჟკაცი იყო **იური თოფურია**, მისი თაობის- გასული საუკუნის 80-იანი წლების ფოთში დაიბადა დიდებული ფრაზა-ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ, მაშინ ქალაქი აერთიანებდა ყველას, პარტიულს და უპარტიოს, მეცნიერს და რიგით მუშაკს. მთავარი კრიტერიუმი ერთი იყო - მშობლიური ქალაქისადმი ზრუნვა და თავდადება.

იური თოფურია დაიბადა ქ. ფოთში 1946 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ მოეწყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ როგორც პროფესიონალი დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს და მუხლჩაუხრელად იღვაწა მისი კეთილდღეობისათვის. ერთი პერიოდი იყო ქალაქის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე. შემდეგ კი -ახალ ეპოქაში კარგი ბიზნესმენი გახდა, მუშაობდა ფირმა ,,კავტრექსფოთში". სადაც კი იღვაწა, ყველგან კარგი ორგანიზატორის სახელი დაიმკვიდრა. ძალიან უყვარდა თანამშრომლებს მათი ლხინისა და ჭირის თანაზიარობისათვის, ამიტომაც დააკლდა ყველას - მეგობრებს, ახლობლებს და თანაქალაქელებს.

ჩვენს ხსოვნაში დიდხანს დარჩება მუდამ მომღიმარი კაცი, ლაღი იუმორით, სიცოცხლის ხალისით სავსე.

ბატონი იური თავისი ცნობილი გვარით ამაყობდა, განსაკუთრებით ბიძებით-მეცნიერებითა და საზოგადო მოღვაწეებით. მამა ივანე თოფურია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა და დიდ ეროვნულ ტრადიციებზე ზრდიდა შვილებს. ძმა **ჯემალ თოფურია ა**სევვე გამორჩეული და ღვაწლმოსილი პიროვნება გახლდათ, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ქალაქის ეკონომიკის განვითარებაში და საჭადრაკო სკოლის ჩამოყალიბებაში. იგი იყო ცნობილი მეცენატი და ქველმოქმედი. სიცოცხლის ძაფი არ წყდება, შვილები და შვილიშვილები აგრძელებენ ცხოვრებას და პატივს მიაგებენ კარგ მეუღლეს, მამასა და ბაბუას.

ფოთი ყოველთვის მოიგონებს თავის ღირსეულ შვილებს, მათ შორის იური თოფურიას, რომელსაც თავისი წვლილი მიუძღვის ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს იური თოფურიას დიდებული სული.

მეგობრები

---

გერონტი კუხალეიშვილი ოჯახით, იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი ფოთის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე

იური ივანეს ძე თოფურიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბირო თანაუგრძნობს ნანა თოფურიას ბიძის

იური ივანეს ძე თოფურიას

გარდაცვალების გამო.

---

ბიჭიკო მეფარიშვილი ოჯახით, დიდი მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

მიტუშა პარმენის ძე ბარამიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი
ზ. აბრალავა